# საქართველოს რესპუბლიკა



იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.



დაარსებულია 1918 წელს.



შაბათი, 25 ივნისი, 2011 წელი.

№118 (6729)

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@wanex.ge

ვებ გვერდი: www.open.ge

ფასი 50 თეთრი.


## „მოდელირებული ქრონიკის“ გაგრძელება კინოფილმ „მონანიების“ სტილში ④ ⑧




გადატრიალება ქართულად

## ძალად „გაფირალებული“ ინტელიგენცია! ②

თუ ადრე ხელისუფლების პოზიციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხალხი თავისი ნებით გარბოდა ტყეში, ახლა თავად ხელისუფლება ერეკება მას დარბაზიდან ტყისკენ

## ირაკლი სესიაშვილი: ③




აფხაზეთის აღიარების მომხრე არ ვარ, მაგრამ დისკუსიამ, შესაძლოა, საინტერესო საკითხები გამოავლინოს

## ხომ არ შეიძლება, ყველა ხელისუფლებაში „37 წელი“ გვქონდეს?! ②

„ეროვნულები“ დისიდენტური მოქრაობის აუცილებლობაზე მქონდეს?!

## წამხედურობა ⑨




ჩაწვდით ამერიკის სულს!

## სამცხე-ჯავახეთი – მორიგი ნაბიჯი მითოლოგიური „დიდი სომხეთისკენ“ ⑧

## სიბერესთან შეუპოვარი ვასილ გვეტაძე



⑦ ოთხმოცდაათი წლის პოეტი ქურაში მიდის...

## სტიქია

სოფელ კუჭატანში მე-12 საუკუნის ეკლესია ინგრევა

⑪

თეთრწყლებში მეწყერი ჩამოწვა

## გადასახადები ③



„საჯარიმო გზატკეცილის“ ახალი „მონიშვნა“

ერიჰა!

# ძალად „გაფირალებული" ინტელიგენცია!

## თუ ადრე ხელისუფლების პოზიციის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად ხალხი თავისი ნებით გარბოდა ტყეში, ახლა თავად ხელისუფლება ერეკება მას დარბაზიდან ტყისკენ

**ნინო ბურჯანაძე ევროპულ ტურნეს განაგრძობს. როგორც ამბობენ, ბრიუსელში ძალიან უჭირთ იმის დაჯერება, რომ სააკაშვილმა თავის ხალხს სასაკლაო მოუწყო... ამასობაში „სახალხო კრებამ", უფრო კონკრეტულად კი ნონა გაფრინდაშვილმა, სამი-ოთხი დღის წინათ ინტელიგენციის წარმომადგენლებს მოსაწვევები დაუგზავნა და მერაბ ბერძენიშვილის ცენტრ „მუზაში" მიიწვია, მაგრამ გუშინ შეხვედრაზე მისულ საზოგადოებას ალაყაფის კარებთან დაცვის პოლიციის თანამშრომლები დახვდნენ და დარბაზში შესვლის უფლება არ დართეს. რაღას იზამდნენ, აქცია იქვე ტყეში, ფიჭვნარის არაჩვეულებრივი სიოს „თანხლებით" ჩაატარეს. სხვათა შორის, თითქმის იგივე მოხდა 25 ნოემბერს, როცა ისინი არც ერთ დარბაზში არ შეუშვეს და აქცია პარლამენტის წინ ჩაატარეს.**

პარადოქსია, მაგრამ ასეთი უცნაურობები ჩვენს ქვეყანაში უკვე აღარავის უკვირს. არც ავტორიტეტული პიროვნებები არიან „ავტორიტეტები", აღარც პატივისცემა არსებობს, ხოლო თუ ამას ყბადაღებული დემოკრატია ჰქვია, ესეც საკითხავია. ძნელი სათქმელია, ასე ეშინოდეს ხელისუფლებას ნონა გაფრინდაშვილის „ავტორიტეტის", რადგან, როგორც ვთქვით, მათთვის გადაულახავი დაბრკოლება ამ კუთხით არ არსებობს, მაგრამ ვინაიდან მოსაწვევში მითითებული იყო, რომ შეხვედრა ეხებოდა 26 მაისს, შესაბამისად, ჩასაშლელი მიზეზიც უკვე იყო... ჩაშალეს კიდეც.

— რა მოხდა? — რაშია საქმე? — კითხულობდა გაკვირვებული ხალხი. როგორც ნონა გაფრინდაშვილმა განაცხადა, მათ პრობლემები ყველგან შეექმნათ. ბოლოს კი კულტურის ცენტრ „მუზაში" დასთანხმდნენ. დარბაზის ქირის ფული გადაიხადეს და მოსაწვევები ამის შემდეგ დააგზავნეს. მაგრამ წინა ღამით მოულოდნელად უარი უთხრეს. საზოგადოების ნაწილმა ეს გაიგო და, შესაბამისად, ვინც იცოდა, არ მივიდა, ხოლო ვინც არ იცოდა, ის, რა თქმა უნდა, მივიდა, თუმცა... ტყეში მოუხდა გადანაცვლება.



მერაბ ბერძენიშვილის პოზიცია უცნობია. თუმცა ყველას სჯერა, რომ ის შეგნებულად ამას არ გააკეთებდა, ის აიძულეს, დაემუქრნენ, ან ასე შემდეგ. საზოგადოებაც მის პოზიციას ელოდება. იმედოვნებენ, რომ ის კვლავ პირუთვნელად იტყვის თავის სათქმელს.

**თემურ შაშიაშვილის** თქმით, ქვეყანაში ტერორი მძვინვარებს: **„როცა ბერძენიშვილის ეზოში შესვლაზე კონტროლს დააწესებენ, ეს უკვე ამის ნიშანია. ახლაც იქ იმყოფება ვაკის პოლიციის უფროსი და ვითარებას აკონტროლებს. „26 მაისი" იმაზე მეტად მუშაობს, ვიდრე წარმოუდგენიათ. ოქრუაშვილის ხალხზე დადგმული „სპექტაკლიც" იმისთვის ხდება, რომ ამით ბრძოლას სახალხო კრებას უცხადებენ. მაგრამ ეს ყველაფერი ამბიციური და უპასუხისმგებლო პოლიტიკოსების ბრალია. აქამდე ეს ქვეყანა ასეთმა პოლიტიკოსებმა მიიყვანეს"...**

შეხვედრაზე იმყოფებოდნენ ექსპერტები რამაზ საყვარელიძე და სოსო ცისკარიშვილი, არასამთავრობო ორგანიზაციის წარმომადგენლები ზაქარია ქუცნაშვილი, ლევან ღვინჯილია, მსახიობები, მათ შორის პოლიტიკოსები ზურაბ ტყემალაძე, ეკა ბესელია, ისტორიკოსი მარიამ ლორთქიფანიძე. „მე ინტელიგენციასთან შეხვედრაზე მოვედი, — განაცხადა მან, — ნონა გაფრინდაშვილთან შეხვედრაზე უარს ვერ იტყვი. არ შეიძლება მისი დამსახურების იგნორირება. მაგრამ გულს ნუ გაიტეხთ, ქალბატონო ნონა, „დრონი მეფობენ და არა მეფენი".

**ნონა გაფრინდაშვილი** აშკარად შეურაცხყოფილი ჩანდა. **„გამოუვალ სიტუაციაში ჩაგვაყენეს. 400-მდე კაცის თანხმობა გვქონდა მიღებული, რომლებმაც შეხვედრაზე მოსვლის სურვილი გამოთქვეს. დარბაზში 200 კაცი ეტევა და ამის გამო ვდარდობდით. ფილმი „26 მაისი" მომზადებული გვქონდა. ვგეგმავდით გულახდილ საუბარს ინტელიგენციასთან, მაგრამ ყველაფერი ჩაგვეშალა. ასე ღია ცის ქვეშ დაგვტოვეს".**

რეზო ესაძემ მიმართვის ის ტექსტი წაიკითხა, რომელიც საერთაშორისო ორგანიზაციებს გაუგზავნეს და რომელსაც ნინო ბურჯანაძე კარდაკარ გააცნობს დასავლელ პარტნიორებს. „რეჟიმის სადამსჯელო ოპერაციას დღეისათვის 6 ადამიანის სიცოცხლე შეეწირა და ასობით ადამიანი დაზიანდა. პარალელურად ხელისუფლებამ ქვეყნის მასშტაბით რეპრესიების ახალი ტალღა დაიწყო: უკანონოდ და შეთითხნილი ბრალდების საფუძველზე ასეულობით ადამიანი დააკავა. დღევანდელი ავტორიტარული ხელისუფლების რეალური და არა ფასადური პოლიტიკა სრულ წინააღმდეგობაშია თანამედროვე დემოკრატიულ პრინციპებთან და ის ნეობოლშევიზმის მკვეთრ გამოვლინებას წარმოადგენს", — ნათქვამია ტექსტში.

„სახალხო კრება" მიმართავს საერთაშორისო თანამეგობრობას, შეიქმნა მაისის მოვლენების შემსწავლელი საერთაშორისო კომისია, რომელიც ყველა კითხვას პასუხს გასცემს და საქართველოს ხელისუფლებას დანაშაულობების დამალვის საფუძველს არ მისცემს.

**არ ვიცი, როგორი იმედებით ჩამოვა ევროპიდან ნინო ბურჯანაძე, რომელსაც ხელისუფლება პრობლემებს არ აკლებს, მაგრამ აქ რომ მუდმივი და გადამეტებული „ყურადღება" არ მოაკლდება მას და მის თანამოაზრეებს, ფაქტია. ისინი ბრძოლას აგრძელებენ. როგორც თემურ შაშიაშვილი ამბობს, მიზნის მისაღწევად ოთხი აუცილებელი პროცესის თანხვედრაა საჭირო: ქუჩის აქციების, მოლაპარაკებათა პროცესის, ქართველი ემიგრანტებისა და საერთაშორისო საზოგადოების მხარდაჭერის.**

ვნახოთ, შეავსებენ თუ არა ეს გზები ერთმანეთს.

**თეა მოსია**

გვეხმაურებიან

# ამას რას მოვესწარით!..

**ბატონო მამუკა არეშიძე, სიმართლე გითხრათ, როდესაც თქვენს გამოსვლებს ვეცნობი, ყოველთვის უკმაყოფილების თუ უკმარისობის გრძნობა მეუფლება ხოლმე. ისინი მეტად უიმედობისა და აპათიის ელემენტებს შეიცავენ სხვადასხვა დოზით. ხან ჩრდილოეთიდან გვემუქრებით, ხან სამხრეთიდან, კარგს არაფერს არც აღმოსავლეთიდან გვპირდებით. ახლა კი ქვეყნის შიგნითაც განგიზრახავთ მავნე მუხტის შეტანა.**

თქვე დალოცვილო, აფხაზეთის დაბრუნების მცირე იმედს პუტინიც კი გვაძლევს თავის გამოსვლებში, თქვენ რაღა ღმერთი გაგიწყრათ; რად მიიყვანეთ საქმე იქამდე, რომ მოღალატეობაშიც კი გდებენ ბრალს? ვერ გამიგია, რას უკავშირდება აფხაზეთის სამართლებრივი სტატუსის „მაქსიმალურად მაღლა აწევისა" და საამისოდ თურმე საჭირო აფხაზეთის დამოუკიდებელ ქვეყნად აღიარებისთვის თქვენი ესოდენ თავგამოდება. მარკშეიდერის არ იყოს, „ცისფერი მთებიდან, ანუ ტიანშანიდან" — შემოგზავნილი ხომ არ ხართ?!

მამუკა ბატონო, ყველა ის პუნქტი, რომლებიც, თქვენი აზრით, საქართველოს მიერ აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებას ამართლებენ, აფხაზეთის ე. წ. ხელისუფლებამ, თუ მას პატრიოტული გრძნობები ამოძრავებს, რუსეთ-აფხაზეთის ურთიერთობაში დღევანდელი დაძაბული ვითარების მოწესრიგებისაკენ უნდა მიმართოს.

არ შეიძლება არ დაეთანხმო ამ საკითხზე ქალბატონ თამარ ჩხეიძის მიერ გამოთქმულ აზრს. უფრო მეტიც, მადლობა მას ასეთ პასკვილზე დროული, კომპეტენტური და შინაარსიანი პასუხისათვის.

**რევაზ ტყემალაძე,**
**საქართველოს დამსახურებული მშენებელი.**

ნაცადი გზა?

# ხომ არ შეიძლება, ყველა ხელისუფლებაში „37 წელი" გვქონდეს?!

## „ეროვნულები" დისიდენტური მოძრაობის აუცილებლობაზე ალაპარაკდნენ

**ჯერ კიდევ 2003 წელს განაცხადა ირინა სარიშვილმა, ნინო ბურჯანაძე რუსეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობსო, მაგრამ ამის გამო არავის უჩივლია. ახლა, როცა ჟურნალ „ტაბუში" გარეკანზევე მიაწერეს მის ფოტოს „გასამართლდეს", ბურჯანაძე უდანაშაულობის პრეზუმფციის დარღვევაზე ალაპარაკდა და ჩივილითაც დაიმუქრა. რა ვითარებაა დღეს უდანაშაულობის პრეზუმფციასთან დაკავშირებით? — ამ თემაზე ხანგრძლივი დისკუსია გაიმართა „თავისუფალი აზრის სახლში", რომელსაც ამჟამად ვაჟა ბერიძე ხელმძღვანელობს.**

შეგახსენებთ, რომ „თასს", რომელიც ამ ორგანიზაციის მოკლე სახელწოდებაა, თავდაპირველად მამუკა არეშიძე ხელმძღვანელობდა. შემდგომ იგი ბაკურ ბაკურაძემ შეცვალა. ამჯერად „თასმა", ადგილმდებარეობასთან ერთად ხელმძღვანელობაც შეიცვალა. აქ რამდენიმე დარბაზია ჩამოყალიბებული, ერთ-ერთს — საზოგადოებრივი აზრის დარბაზს პაატა გიორგაძე ხელმძღვანელობს. აქ ხშირად იწვევენ მეცნიერებს, პოლიტიკოსებს, ექსპერტებს და სხვადასხვა პრობლემურ საკითხებსა და მათი გადაჭრის გზებზე მსჯელობენ. **„ჩვენი მიზანია, ქართველ ხალხს ერთიანობის განცდა აღვუდგინოთ და საზოგადოებას სახელმწიფო მართვის ისეთი სისტემის მოწყობა შევთავაზოთ, რომელიც მათ ამ ქვეყანაში ცხოვრებას გაუადვილებს", — ამბობს პაატა გიორგაძე.**

ამჯერად საზოგადოებრივ დარბაზში სტუმრები საინტერესო ნიშნით შეირჩნენ — უზენაესი საბჭოს წარმომადგენლები, ეროვნული მოძრაობის აქტიური ლიდერები: თემურ ქორიძე, მამუკა გიორგაძე, ირინა სარიშვილი, თემურ ჟორჟოლიანი, მაყვალა ბერიანიძე და სხვები.

უდანაშაულობის პრეზუმფციის დაცვის შესახებ საუბარს, ბუნებრივია, სახელმწიფო მოწყობის გზებზე მათი ხედვების ჩამოყალიბება, ეროვნული მოძრაობისა და დღევანდელობის შედარებები და ვითარების ანალიზი მოჰყვა.

**მაყვალა ბერიანიძე:** „უზენაეს სასამართლოში დღეს იხილებოდა კერძო საკუთრების უფლების საკითხი, მურმან ლებანიძის ვაჟის, ნინელი ჭანკვეტაძის, მარიამ ლორთქიფანიძის და სხვა ინტელიგენციის წარმომადგენლების. შემიძლია თამამად ვთქვა, რომ აბსოლუტური განუკითხაობა სუფევს. არავინ არა ვართ დაცული უსამართლობისგან. რაც შეეხება ახალ ინიციატივას — „თავისუფლების ქარტიას", რომელმაც აგენტების ლუსტრაცია უნდა მოახდინოს, ესეც დიდი კითხვის ნიშნებს აჩენს. ამ ქარტიის მიხედვით, ხვალ ცეკას ყოფილი მუშაკები და ეროვნული მთავრობის წარმომადგენლები შეიძლება საფრთხის წინაშე დავდგეთ. ხომ არ შეიძლება იმის გამო, რომ ვილაცა კომუნისტი იყო, დღეს სამშობლოს მოღალატეობა დასწამო. სამართლებრივი სივრცე არა გვაქვს. განსაკუთრებით, ეს სპექტაკლი-ტერაქტები ბადებენ ეჭვებს. 1995 წლის ტერაქტი დღემდე არ არის გამოძიებული, ხოლო ჩემი წიგნი, სადაც დოკუმენტურად მაქვს დადასტურებული, რომ ის შევარდნაძის დადგმული სპექტაკლი იყო, გაყიდვიდან ამოიღეს. მე და ჩემი ოჯახის წევრები დღემდე უმუშევრები ვართ. ამ სიმართლის გამო სადარბაზოსთან ჩამისაფრდნენ და დამჭრეს. ჯერ კიდევ 2001 წელს შეაფასეს სახელმწიფო გადატრიალებად 1992 წლის მოვლენები, რა შედეგი მივიღეთ? 2003 წლის რევოლუციაც წინასწარ გამზადებული, დაწერილი სცენარი იყო, ვინმემ იცის სიმართლე ამის შესახებ? ზოგადად, ჩვენი უახლესი ისტორია არ არის გამოძიებული, არავინ ამაზე არ წერს... არადა, ხომ არ შეიძლება ყველა ხელისუფლებაში „37 წელი" გვქონდეს?

**თემურ ქორიძე:** „ტყუილად კი არ ვიხსენებთ 1937 წელს. მიხეილ ჯავახიშვილს 11 ქვეყნის ჯაშუშობა დააბრალეს... რა უდანაშაულობის პრეზუმფციაზეა საუბარი, როცა სამართლიანობა არ არსებობს. ჩვენ ვართ პოტენციური მსხვერპლი და საუბარი იმაზე, თუ საიდან იღებს ეს სათავეს, ცოტა რთულია. 1995 წელი ახლო წარსულია, დაუსჯელობის სინდრომი ბოლშევიკების პრეპერიოდიდან იწყება... თუკი პიროვნების ლუსტრაცია გინდა, მას პარტიულობის მიხედვით ვერ განსჯი. სხვათა შორის, ზვიადს იმის გამო საყვედურობდნენ, კომუნისტები ჰყავს ხელისუფლებაშიო, მაგრამ გამოცდილი ხალხის გაყრა ხომ არ შეიძლებოდა?! არსებობს ორი გზა: ან ელიტის წინამძღოლობით ჯანყდება ხალხი, ან თანდათან მაზოხისტური მსხვერპლშეწირვის გზით აღწევს ცვლილებას. ჩვენ რაღა დაგვრჩენია, მხოლოდ პროტესტს გამოვთქვამთ. ჩემი აზრით, დღეს არც ერთი ინსტიტუცია ფეხზე ძლიერად არ დგას: არც ეკლესია, არც ელიტა, არც ჯარი, არც სასამართლო. რა გინდა ქნა, როცა ჯანსაღი ინტელიგენცია არ გვყავს?."

**ვაჟა შუბითიძე:** „ქართველებს ორივე გვინდა: კონფორმიზმიც და პატრიოტიზმიც, მაგრამ ასე არ ხდება. უნდა ვაღიაროთ, რომ ორი საუკუნეა, სახელმწიფოებრივი აზროვნების ტრადიციები გაგვიქრა და თავიდან ვსწავლობთ ყველაფერს. მრავალპარტიულობაში ხსნა არ არის, ფულიც არა გვაქვს, რომ უსამართლობას შევებრძოლოთ. გონიერების, სამართლიანი ადამიანების მაგალითები გვჭირდება. ორიენტაცია ახალგაზრდებზე უნდა გავაკეთოთ, რადგან დღეს რატომღაც მათ ყველაზე ნაკლებად მოეთხოვებათ პასუხი, არადა პირიქით უნდა იყოს..."

**მამუკა გიორგაძე:** „ნაციონალური მოძრაობა გუდურასავით დაგვისვეს, მაგრამ სააკაშვილი კი არ არის ძლიერი, ჩვენ ვართ სუსტები, ატროფირებული გვაქვს რელიგიური და ეროვნული გრძნობები, დანარჩენი — რაც გინდა, აკეთე... ჩვენ გვჭირდება სუბიექტი, ადამიანი, რომელიც თავს მოუყრის იმათ, ვისაც ჯანსაღი ცხოვრება სურს და მოამზადებს პლაცდარმს. მართალია, სისტემა ყოველთვის მოუგებს ინდივიდს, მაგრამ ეს უკანასკნელი უნდა იყოს მსხვერპლშეწირული, ვთქვათ ისეთი, როგორიც მერაბ კოსტავა იყო".

**ირინა სარიშვილი:** „ეროვნული მოძრაობის განახლება აუცილებელია. არ უნდა გვქონდეს იმის იმედი, რომ ვინც ამ ხელისუფლების შეცვლას მოახერხებს, ის უკეთესი იქნება... ჩვენ, როცა თავის დროზე ვშიმშილობდით, აქციებს ვმართავდით, ვინმეს მოსვლია თავში, მოგვეთხოვა პატიაშვილი გადადგესო? მოთხოვნა ადეკვატური უნდა იყოს, ისეთი, რომელსაც ხელისუფლება იგნორირებას ვერ გაუწევს. დღეს რა გვესმის ყოველ აქციაზე? — მიშა წადი! რა განხორციელების მექანიზმი შეიძლება იყოს? — ჩემი აზრით, 30-40 ადამიანმა უნდა მოიყაროს თავი, უნდა მუდმივად, ყველა 7-10 დღის განმავლობაში ერთსა და იმავეზე ვილაპარაკოთ. მაგალითად, კონკრეტულ თემაზე: პატიმრებზე, სკოლის კონკრეტულ პრობლემაზე, რომელიღაც სოციალურ საკითხზე, პარლამენტის გადატანაზე თუ სხვაზე. მაგრამ პრობლემა არის მეორე — სად უნდა ვილაპარაკოთ, როცა მედიასივრცე დახურულია, ხოლო „მაესტრო" და „კავკასია" კიდევ უფრო საშიშ როლს ასრულებენ... შეიძლება ეს 30-40 კაცი არც გამოჩნდეს, უბრალოდ მათ აკონტროლონ სიტუაცია, ხოლო იდეები გახმიანდება... ამ ყველაფერში მთავარი უნდა გამოჩნდეს — რომ ჩვენ არ ვიბრძვით სკამისთვის, ვიღაცის ადგილის დასაკავებლად. ჩემი ღრმა რწმენით, ჩვენ ისევ გვჭირდება „ეროვნულების" ნაცადი გზა. ყოველ ქმედებაში დისიდენტური სულისკვეთება უნდა გამოჩნდეს და არა ხელისუფლებაში მოსვლის სურვილი".

**საზოგადოებრივი აზრის სახლის ხელმძღვანელი ამბობს, რომ აუცილებელია მოაზროვნე ადამიანების აზრების თანხვედრა მოხდეს. „თასში" სხვადასხვა პარტიის წარმომადგენლები შეხვდებიან ერთმანეთს. ეს იქნება პერმანენტული მსჯელობა — დისკუსიები. „ყველანი ვთანხმდებით, რომ ქვეყანაში გვაქვს სოციალური, ეკონომიკური, ფსიქოლოგიური კრიზისი, მაგრამ ამას მხოლოდ ერთ კაცს ნუ დავაბრალებთ. ამ ბოლო დროს მიტინგებზე ორიენტირებული ქვეყანა გავხდით, მაგრამ არა მგონია, ისევ ყველაფრის ქუჩიდან დაწყება მართებული იყოს", — ამბობს ვაჟა ბერიძე.**

**თეა მოსია**

◎ კვლავ აფხაზეთის „დამოუკიდებლობის“ შესახებ



## ირაკლი სესიაშვილი:

# აფხაზეთის აღიარების მომხრე არ ვარ, მაგრამ დისკუსიამ, შესაძლოა, საინტერესო საკითხები გამოავლინოს

**„აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარების მომხრე არ ვარ, მაგრამ ამ საკითხზე დისკუსიამ შესაძლოა კონფლიქტის ტრანსფორმაციისა და შემდგომი მოგვარებისთვის რიგი საინტერესო საკითხი გამოავლინოს“,** — ასე ეხმაურება **„ჯი-ეიჩ-ენთან“** საუბარში უსაფრთხოების პოლიტიკის ექსპერტი **ირაკლი სესიაშვილი** კოლეგის, მამუკა არეშიძის ინიციატივას.

სესიაშვილი არეშიძის მიერ გაჟღერებულ ინიციატივას გამართლებას უძებნის და მიიჩნევს, რომ გარკვეული წინაპირობების სანაცვლოდ, აფხაზეთის დამოუკიდებლობის აღიარებაზე დისკუსიის დაწყება საინტერესო იდეაა.

**„აფხაზები ამბობენ, რომ უნდათ დამოუკიდებლობა. ჩვენ შეგვიძლია, შევთავაზოთ ეს რამდენიმე პირობის შესრულების შემთხვევაში, რომელთა შორის ერთ-ერთი ტერიტორიიდან რუსეთის ჯარების გაყვანა უნდა იყოს (რითაც აფხაზები, რეალურად, თავს დაიხსნიან რუსული ზეგავლენისგან და შეეძლებათ ჩვენთან დამოუკიდებლად ურთიერთობა, მათ შორის პრობლემურ საკითხებზე ერთად მუშაობა). რასაკვირველია, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, აფხაზეთი ამ წინადადებაზე უნდა წამოვიდეს, მაგრამ დარწმუნებული ვარ, უარს იტყვის და არა იმიტომ, რომ მისთვის ხელსაყრელი არ არის. რა თქმა უნდა, ხელსაყრელია, თან ძალიან, მაგრამ ამას რუსეთი არ დაუშვებს. მოსკოვისთვის მთავარია, ამ რეგიონზე ჰქონდეს ზეგავლენა და სულ არ აინტერესებს, აფხაზები დამოუკიდებლები იქნებიან თუ მონობის ქვეშ“**, — განაცხადა სესიაშვილმა.




ექსპერტის განმარტებით, საქართველო ამით მოგებული დარჩება, რადგან, ერთი მხრივ, დასავლეთს დაანახებს, რომ მას კონფლიქტის მოგვარება სურს, ზრუნავს არა მარტო საკუთარ ინტერესზე — ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაზე, არამედ აფხაზეთის მოქალაქეებზეც და ამ საკითხს ცივილიზებულად და ლიბერალურად უდგება, მეორე მხრივ კი, ამსხვრევს მითს, რომელსაც „აფხაზეთის დამოუკიდებლობა“ ჰქვია.

**„დასავლეთი დაინახავს, რომ აფხაზეთს, სწორედ რუსეთის ოკუპაციის გამო, დამოუკიდებლობის მიღწევის უნარი რეალურად არ გააჩნია და მოხდება იმის დემონსტრირება, რომ არა მხოლოდ საქართველოს ტერიტორიაა ოკუპირებული, არამედ აფხაზეთის ტერიტორია თავად აფხაზებისთვისაც“,** — აღნიშნა ექსპერტმა.

რაც შეეხება იმას, რამდენადაა შესაძლებელი აფხაზეთის ტერიტორიაზე კვლავ დაბრუნდეს რუსული სამხედრო შენაერთები, თუკი აღიარების სანაცვლოდ ტერიტორიიდან მოსკოვი თავის ჯარს გაიყვანს, სესიაშვილი აღნიშნულს კატეგორიულად გამორიცხავს და აცხადებს, რომ ეს აღიარების შესახებ შეთანხმებით უნდა იყოს უზრუნველყოფილი, რაც ტერიტორიაზე მხარეების მიერ ნდობით აღჭურვილი სამშვიდობო ნაწილების განთავსების პირობაში უნდა გამოიხატებოდეს.

**„შეთანხმება ასევე უნდა ითვალისწინებდეს დემილიტარიზაციას, ადამიანის უფლებების დაცვას, საქართველოს მოქალაქეებისთვის აფხაზეთში თავისუფალი მიმოსვლის უფლებას და დევნილების დაბრუნების პროცესის დაწყებასაც. არ ვამბობ, რომ ყველა დევნილი ხვალ უნდა დაბრუნდეს, მაგრამ ეს ეტაპობრივად უნდა მოხდეს. ამის შედეგად მივიღებთ იმას, რომ გრძელვადიან პერსპექტივაში შევძლებთ აფხაზეთში უმრავლესობის მოპოვებას. ხოლო თუ დღევანდელ პოზიციებს შევინარჩუნებთ (მე, როგორც საქართველოს მოქალაქეს, რა თქმა უნდა, არანაირად არ მინდა აფხაზეთის დამოუკიდებლობა), მეტი რისკი და საფრთხე წარმოგვექმნება“,** — განმარტავს სესიაშვილი.

ექსპერტი არც იმას გამორიცხავს, რომ მოლაპარაკებების პროცესში „სხვა ვარიანტებიც“ გამოჩნდეს, რისი ერთი კონკრეტული მაგალითიც თავადვე დაასახელა.

**„მაგალითად, მე მხარს ვუჭერ ვარიანტს, რომ აფხაზეთის მმართველობა გადავიდეს გაეროს მანდატის ქვეშ, როგორც კოსოვოს შემთხვევაში იყო და მოხდეს მისი დემილიტარიზაცია, ეტაპობრივად დავიწყოთ თავისუფალი ზონების შექმნა. ეს მოგვცემს მშვიდობის გარანტიებს და ნორმალური, ცივილიზებული ურთიერთობის საშუალებას, რაც გრძელვადიან პერსპექტივაში კონფლიქტის მოგვარების საფუძველი გახდება. ერთი სიტყვით, მამუკა არეშიძის ინიციატივა, ბევრმა, მათ შორის ჟურნალისტმა, არასწორად გაიგო. მე კი მისი სახით ვხედავ საინტერესო, მაპროვოცირებელ შეთავაზებას აფხაზეთისთვის. ამით მოვსინჯავთ აფხაზების, აფხაზეთის დე ფაქტო ხელისუფლების, ჩვენი საზოგადოების, რუსეთისა და დასავლეთის რეაქციებს“,** — განაცხადა ექსპერტმა.

◎ გადასახადები

***როცა ახალი საგადასახადო კოდექსი ჯერ კიდევ მხოლოდ ბუნდოვან მონახაზში არსებობდა, ფისკალურ ორგანოებში იმთავითვე გათვლილი ჰქონდათ, რომ სანქცია-საურავები და ჯარიმები ბიუჯეტის შევსების მნიშვნელოვან წყაროდ გადაიქცეოდა. მას შემდეგ, რაც წლის დამდეგიდან ახალი კოდექსი კანონიერ ძალაში შევიდა, იმ სანქციების სიმკაცრე, რომლებითაც დამნაშავე საქმიან ხალხს სჯიან, ასევე სასამართლოში მიმდინარე დავების, მათი შინაარსისა და მიღებულ გადაწყვეტილებათა გათვალისწინებით, ცხადი გახდა, რომ აუცილებლად საჭიროა საჯარიმო ტვირთის შემსუბუქება. საქმე ის არის, რომ იმ ოდენობით ჯარიმებს, რა ოდენობასაც საგადასახადო კოდექსი ითვალისწინებს და რომელსაც უდიდესი სიხარულით იყენებენ საგადასახადო ორგანოების ინსპექტორები, საქმის ხალხი ვერა და ვერ აუდის. ყოველივე ამის გათვალისწინებით, ფინანსთა სამინისტროში საგადასახადო კოდექსში შესატან ცვლილებათა პაკეტი მომზადდა, რომელთა თანახმად სხვადასხვა სახეობის საჯარიმო სანქციები საგრძნობლად შემცირდება, ანდა, სულაც გაუქმდება.***

# „საჯარიმო გზატკეცილის“ ახალი „მონიშვნა“

თქმა არ უნდა: იმის მიუხედავად, რომ სულ ნახევარი წლის წინათ ამოქმედებული დოკუმენტი ასე მოკლე დროში შესწორებებსა და ცვლილებებს საჭიროებს, რაც იმის მანიშნებელია, რომ შედგენისას ქვეყანაში არსებული რეალობა ჯეროვნად არ იყო შეფასებული, თავად ის ფაქტი, რომ მთავრობამ ეს გარემოება გაითვალისწინა და, რაც მთავარია, საჯარიმო სანქციების შესამსუბუქებლად რეალურ ნაბიჯს დგამს, ნამდვილად მისასალმებელია.

მისაღებ ცვლილებათა პაკეტის მასალებით გათვალისწინებულია საგადასახადო კოდექსის სხვადასხვა საჯარიმო ნორმის შემსუბუქება. კერძოდ, **საშემოსავლო დეკლარაციის ფისკალურ ორგანოში დაგვიანებით ჩაბარების შემთხვევაში დამნაშავე პირი არ დაჯარიმდება,** სხვადასხვა სახეობის დარღვევებისთვის დადგენილი ჯარიმების ოდენობა კი მნიშვნელოვნად შემცირდება. როცა საგადასახადო კოდექსში შეტანილი ცვლილებები ძალაში შევა, **აღურიცხავი პროდუქციის დადგენის შემთხვევაში საგადასახადო ორგანოს, გარკვეულ პირობებში, მეწარმისთვის ჯარიმის განახევრება, ანდა, სულაც მისგან გათავისუფლება შეეძლება.** მაგალითად, თუ აღურიცხავი პროდუქცია სათანადოდ აღრიცხულ საქონელზე მხოლოდ ორი პროცენტით ნაკლები იქნება, მეწარმე არ დაჯარიმდება, ხოლო თუ მეტით, დაჯარიმდება სადღეისოდ არსებული ოდენობის ნახევრით. ამასთან, იმპორტიორთათვის ძალიან მნიშვნელოვანია ცვლილება, რომლის თანახმად საბაჟოს გვერდის ავლით დაწესებულ ჯარიმათა ოდენობა უნდა შემცირდეს. ამასთან, **შემცირდება ჯარიმა ფიზიკური პირის მიერ საქონლის ან გამოცხადების ვადის დარღვევისთვის, საგადასახადო ორგანოს თანხმობის გარეშე სატრანსპორტო საშუალებაში, ან შენობა-ნაგებობაში იდენტიფიცირების საშუალებათა მოხსნის, ან განადგურებისა და საბაჟო დეკლარაციაში არასწორ მონაცემთა შეტანისთვის დაწესებული ჯარიმები. ასევე სანქციები შერბილდება მაშინაც, როცა აღნიშნულ ქმედებათა შედეგად დეკლარირებული საქონელი არასწორად, ან არასრულად აღიწერება; არასატარიფო ღონისძიებათა დაცვის დამადასტურებელი საბუთების დადგენილ ვადაში წარუდგენლობისთვის; დეკლარანტის, ან კომპანიის (საწარმოს) წარმომადგენლის მიერ სასაქონლო დეკლარაციაში იმპორტის, ან ექსპორტის გადასახდელების ოდენობის განზრახ შემცირებისთვის.** გარდა აღნიშნულისა, საგადასახადო კოდექსში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი ცვლილება უნდა შეიტანონ. საგადასახადო კოდექსში შესატანი ერთ-ერთი ცვლილების თანახმად, **საბაჟო დეკლარაციაში შემცირებული ოდენობით იმპორტის რეჟიმით შემოტანილი პროდუქციის დადგენის შემთხვევაში, ფიზიკური პირი, რომელიც მანამდე საქონლის მთლიანი ღირებულების ოდენობით ჯარიმდებოდა, მომავალში ჯარიმის ოდენობა 40 პროცენტამდე შეუმცირდება.** ოღონდ ეგ კია, რომ იმპორტის რეჟიმით შემოტანილი საქონლის მთლიანი ღირებულება სამ ათას ლარს არ უნდა აღემატებოდეს, სხვა შემთხვევაში ჯარიმის სიდიდე იგივე დარჩება.



მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ **თუ საგადასახადო ორგანოს მიერ საწარმოში ინვენტარიზაციისა და საგადასახადო შემოწმების დაწყებამდე მეწარმე მას საქონლის ზედმეტობისა, ან ნაკლებობის შესახებ სწორ ინფორმაციას მიაწვდის, ამ შემთხვევაში შემოსავლების სამსახური რაიმე იძულებით ღონისძიებას არ მიმართავს.** გარდა ამისა, მეტად საგულისხმოა ის გარემოებაც, რომ შესწორებათა მიღების შემდეგ საგადასახადო კოდექსში **გაიზრდება იმპორტის გადასახადის გადაუხდელად ნებადართული საქონლის ნუსხა, რომლის შემოტანა მანამდე დაშვებული ნორმის გაორმაგებით იქნება შესაძლებელი.** კერძოდ, თუ ადრე შეიძლებოდა იმპორტის გადასახადის გარეშე ორი ბლოკი სიგარეტის შემოტანა, მომავალში ამ სახეობის გადასახადის გადაუხდელად შესაძლებელი იქნება ოთხი ბლოკის შემოტანა და ა.შ.

სეზონურ ფასდაკლებათა სისტემა მთელ მსოფლიოშია აპრობირებული და, უნდა ითქვას, გასაგებ მიზეზთა გამო, სავსებით ხელსაყრელია როგორც უშუალოდ გამყიდველთათვის, ასევე მომხმარებელთათვისაც. ეს კი ის შემთხვევაა, როცა ამა თუ იმ სახეობის პროდუქცია, ძირითადად ტანსაცმელი, გალანტერეა, საყოფაცხოვრებო ტექნიკა და ა.შ. ხშირად თვითღირებულებაზე ნაკლებ ფასად იყიდება, რასაც მანამდე საქართველოს კოდექსი, რბილად რომ ვთქვათ, „დიდი ეჭვის თვალით უცქერდა“. მასში ცვლილებათა შეტანის შემდეგ გაკეთდება სპეციალური ჩანაწერები, რომელთა შესაბამისად, ისეთი აქციების ჩატარებას წინ აღარაფერი აღარ აღუდგება. ეს კი, სავარაუდოდ, ძალიან ბევრ „გაუგებრობას“ აარიდებს მეწარმეებს.

თუ როგორი იქნება დანარჩენი ცვლილებები და რამდენად პოზიტიურად იმოქმედებენ ისინი ჩვენს მეწარმეთა ეკონომიკურ აქტივობაზე, ახლო მომავალში გავიგებთ.

**ოთარ ტურაბელიძე**

◎ წერილი რედაქციას

# ქ-ნ ნინი ადუაშვილის წერილის — „მიწა ქართულის“ გამო

ჩვენი გაზეთის 22 ივნისის ნომერში დაიბეჭდა ნინი ადუაშვილის წერილი — „მიწა ქართული“, რომელიც უნდა გაიტანონ!“ წერილი ეხებოდა ცნობილი მხატვრის კოკი მახარაძის პანოს, იგი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის პირველ კორპუსს ამშვენებს, მაგრამ უნივერსიტეტის მრჩეველთა საბჭოს გადაწყვეტილებით დღე-დღეზე ჩამოილებენ. წერილის ავტორი ამ საკითხთან დაკავშირებით შეეხო აკადემიკოს მარიამ ლორთქიფანიძის მოსაზრებასაც.

ქ-მა ნინი ადუაშვილმა საიდან მიიღო ინფორმაცია ჩემი აზრის შესახებ არ ვიცი, მაგრამ როდესაც მე მკითხეს, გარკვევით ვთქვი, რომ დიდ პატივს ვცემ კოკი მახარაძეს როგორც მხატვარს, უფლებას არ მივცემ ჩემ თავს შევაფასო მისი შემოქმედება, რომელსაც დამკვიდრებული აქვს თავისი საპატიო ადგილი, არც ამ პანოს მხატვრულ ღირსებას შევხებივარ, მხოლოდ აღვნიშნე, რომ ჩემი აზრით, მისი ადგილი არ არის იქ, სადაც ამჟამადაა. სხვათა შორის, ეს მოსაზრება უნივერსიტეტის იმჟამინდელ რექტორს ბ-ნ დავით ჩხიკვიშვილს მოვახსენე მაშინვე, როდესაც ეს პანო დაიხატა. ვფიქრობ, როგორც მოქალაქეს და უნივერსიტეტის ერთ-ერთ უძველეს თანამშრომელს, მაქვს უფლება, მქონდეს ჩემი აზრი ამ საკითხზე. აქვე შევნიშნავ, რომ ბ-ნ გია ბუღაძეს არ შევხვედრივარ და არც მისი აზრი ვიცი ამის შესახებ.

ამასთანავე, სასურველად მიმაჩნია აღვნიშნო, რომ „მრჩეველთა საბჭო“ ასეთ ცინიკურ დამოკიდებულებას არ იმსახურებს, თუმცა ახლა მოდაშია მხცოვან მეცნიერთა გაკილვა და აბუჩად მოხსენიება და ქ-ნი ადუაშვილიც არ ღალატობს ამ სტილს.

პატივისცემით

**მარიამ ლორთქიფანიძე.**

**P. S. მიმაჩნია, რომ საქართველოს გადარჩენისათვის მნიშვნელობა აქვს უფროსებისადმი პატივისცემას და ღირსების შეგრძნებასაც.**

**მ. ლ.**

21.VI.2011 წ.

მოგითხრობთ მკითხველის თხოვნით

**შსს-ს მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, „ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას 200-მდე რუს სპეცრაზმელთან ერთად გეგმავდა“. მათ, წინასწარ შექმნილი ოცამდე ქართული ბანდფორმირების დახმარებით, ადმინისტრაციულ საზღვარზე განთავსებული ჯერ, ქართული საგუშაგოები, შემდეგ კი გორში მდებარე პოლიციის შენობა უნდა განეიარაღებინათ. ოპოზიციას ამ საქმესთან დაკავშირებული „სატელევიზიო აღიარებები“ კინოფილმ „მონანიებას“ ახსენებს და ობიექტური გამოძიების ჩატარებას მოითხოვს.**

# „მოდელირებული ქრონიკის“ გაგრძელება კინოფილმ „მონანიების“ სტილში

სამინისტრო აცხადებს, რომ გაიშიფრა სქემა, რომლის მიხედვითაც ირაკლი ოქრუაშვილის ცხინვალიდან შემოსვლა უნდა მომხდარიყო. კერძოდ, ამ სქემაში ფიგურირებენ თავად ირაკლი ოქრუაშვილი, მისი პირადი დაცვის წევრი გიორგი გაბროშვილი, შსს-ს სპეცდანიშნულის რაზმის ყოფილი უფროსი თამაზ ბეგიაშვილი, ასევე შიდა ქართლის სატყეოს ყოფილი უფროსი მალხაზ კაკაშვილი. ბეგიაშვილი და კაკაშვილი მიმალვაში არიან.

დაკავებულები არიან თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი ბონდო კაკაშვილი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი წევრი ზაზა ბეთლემიძე, მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი უფროსი ხვიჩა მაჭარაშვილი, სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი დავით ჯარმელიშვილი, მიმალვაში იმყოფება მიხეილ ქარელის დაცვის ყოფილი წევრი გაბრიელ პავლიაშვილი, მიმალვაში იმყოფებიან ასევე, თავდაცვის სამინისტროს გენერალური ინსპექციის ყოფილი უფროსი იოსებ გიგუაშვილი, შიდა ქართლის სამხედრო პოლიციის ყოფილი უფროსი ხვიჩა საბაშვილი.

დაკავებულები არიან თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი შალვა საბაშვილი, თავდაცვის მინისტრის აპარატის ყოფილი უფროსი, „ქართული პარტიის“ რეგიონალური კოორდინატორი ლევან ტერაშვილი, შინაგან საქმეთა სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი კახა ტერაშვილი, თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი გიორგი საათაშვილი და შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების რაზმის ყოფილი წევრი.

**„შსს-ს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის მიერ დაკავებულები მალხაზ კაკაშვილი, თამაზ ბეგიაშვილი და ხვიჩა საბაშვილი აპრილის ბოლოს, ვლადიკავკაზში ირაკლი ოქრუაშვილს შეხვდნენ“,** — ამის შესახებ შსს-ს მიერ გავრცელებულ აღიარებით ჩვენებაში თავდაცვის სამინისტროს ყოფილი თანამშრომელი გიორგი საათაშვილი აცხადებს:

**„როგორც ჩემთვის ცნობილი გახდა, მალხაზ კაკაშვილის თქმით, აპრილის თვის ბოლოს, თვითონ და თამაზ ბეგიაშვილი გადავიდნენ სოფელ ზემო არცევში, სადაც დახვდათ ყოფილი სამხარეო პოლიციის უფროსი ხვიჩა საბაშვილი, რის მერეც, ორ რუს ოფიცერთან, სამხედრო ფორმაში ჩაცმულები ავტომანქანა „ვილისით“, რომლებიც ფსბ-ს მოწმობით სარგებლობდნენ, გადაიყვანა ორჯონიკიძეში“.**

საათაშვილის თქმით, აღნიშნული სამი პიროვნება ვლადიკავკაზში, ერთ-ერთ შენობაში, შეხვდა ირაკლი ოქრუაშვილს. საათაშვილის თქმით, ოქრუაშვილს თან ახლდა ერთი ქართველი და სამოქალაქო ფორმაში ჩაცმული ორი რუსი.

მისივე ინფორმაციით, ოქრუაშვილმა მათ დაავალა ადმინისტრაციულ საზღვრებზე განლაგებული ქართული პოლიციის საგუშაგოების კოორდინატების დადგენა. საათაშვილის თქმით, კაკაშვილმა, თამაზ ბეგიაშვილმა და ყოფილი ფინანსური პოლიციის თანამშრომელმა, დათო ჯარმელიშვილმა საგუშაგოების კოორდინატები ოქრუაშვილს გადასცეს:

**„კაკაშვილის თქმით, ირაკლი ოქრუაშვილი აპირებდა 200 რუსი სპეცრაზმელის თანხლებით შემოსვლას, სადაც დახვდებოდა 20-მდე შეიარაღებული ქართული ჯგუფი, რის შემდეგ მათ საგუშაგოების განიარაღება უნდა განეხორციელებინათ. ერთ-ერთ საგუშაგოზე დაგეგმილი იყო შესვლა „ზილის“ მარკის ავტომანქანით. ამის შემდეგ, კაკაშვილის თქმით, აპირებდნენ გორში მდებარე სპეცრაზმის შენობაზე და შიდა ქართლის სამხარეო სამმართველოზე თავდასხმას“.**

საათაშვილის აღიარებით, 22 აპრილს მას ტელეფონით დაუკავშირდა კახა ტერაშვილი და უზნაძის 113-ში განთავსებულ „ქართული პარტიის“ ოფისში მისვლა სთხოვა. საათაშვილის თქმით, 22 აპრილს ის მივიდა „ქართული პარტიის“ ოფისში, სადაც კახა ტერაშვილის ძმას, ლევანს შეხვდა:

**„მან მკითხა, მქონდა თუ არა მართვის მოწმობა და შევძლებდი თუ არა „ზილის“ მართვას. მე დავთანხმდი ამაზე. ამის შემდეგ მან „ზილის“ საფასური გადმომცა, რომლითაც „ზილი“ უნდა მეყიდა“.**

საათაშვილის თქმით, აღნიშნულ „ზილში“ ჩასვამდნენ იმ სპეცრაზმელთა ნაწილს, რომლებთან ერთადაც საქართველოში ირაკლი ოქრუაშვილი უნდა შემოსულიყო: „ზილში“ ჩასვამდნენ სპეცრაზმელთა გარკვეულ ნაწილს და მიიყვანდნენ ქართულ საგუშაგომდე მალულად. „ზილი“ წავიყვანე სოფელ ჯარიაშენში, სადაც დამხვდა კახა ტერაშვილი. „ზილი“ სოფლის ერთ-ერთ ეზოში დავაყენეთ, რის შემდეგაც დავბინავდით მიტოვებულ ბინაში“.

მისივე თქმით, 22 აპრილის ღამეს, მათთან მივიდნენ მალხაზ კაკაშვილი, შიდა ქართლის ყოფილი გუბერნატორის, მიხეილ ქარელის დაცვის წევრები, ხვიჩა მაჭარაშვილი და გია პავლიაშვილი. მათ კიდევ ორი პირი ახლდათ.

სამინისტრომ გაავრცელა სატელეფონო საუბრებიც. მათგან ერთ-ერთია თავდაცვის ყოფილი მინისტრის ირაკლი ოქრუაშვილისა და მალხაზ კაკაშვილის სატელეფონო საუბრის ჩანაწერიც, რომლის შინაარსიც ასეთია:




**ოქრუაშვილი** — გაუმარჯოს, დალაგდით?

**კაკაშვილი** — კი, კი...

**ოქრუაშვილი** — დალაგდით, თუ ისე-რა?

**კაკაშვილი** — არა, არა ერთად ვართ, კარგად ვართ.

**ოქრუაშვილი** — ყველაფერი წესრიგშია?

**კაკაშვილი** — კი.

**ოქრუაშვილი** — ხო, „ხარაშო“, კარგი, კარგად.

**კაკაშვილი** — კარგი, ნახვამდის, გელოდებით...

საპარლამენტო უმრავლესობის წევრ ბახტანგ ბალავაძისთვის ოქრუაშვილის გეგმებთან დაკავშირებით შსს-ს მიერ გავრცელებულ მასალებში „ახალი არაფერი არ ყოფილა“. როგორც ბალავაძემ ჟურნალისტებს განუცხადა, ოქრუაშვილის განცხადებებიდან გამომდინარე, ისედაც ცნობილი იყო, რომ „იგი მოქმედებდა არა ღირსების და ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე, არამედ რუსეთის სპეცსამსახურის დავალებით“.

თუმცა ბალავაძე აღნიშნავს, რომ ამით სიტუაცია არ არის დასრულებული და სურს, საზოგადოებას შეახსენოს რუსეთის ფედერაციის გეგმები საქართველოში ტერაქტებთან დაკავშირებით: „ფაქტი ერთია, რუსეთს აქვს თავისი ამოცანები და მიზნები, რომ ებრძოლოს არა საქართველოს ხელისუფლებას, არამედ ქართულ სახელმწიფოს“.

* * *

**„ქართულ პარტიაში“** შსს-ის მიერ გავრცელებულ ვიდეომასალას აბსურდულს, სპექტაკლს და ფალსიფიკაციას უწოდებენ. როგორც ჟურნალისტებს პარტიის პოლიტიკურმა მდივანმა **ეროსი კიწმარიშვილმა** განუცხადა, ის რაც დღეს ყველამ მოისმინა და ნახა, გამოგონილი ისტორიაა, რაშიც საზოგადოებას დარწმუნება არ სჭირდება:

**„მე დღეს ვნახე კინოსტუდია შსს-ს ბოლომდე დაცლა, რენე ჰარლინი ამასთან შედარებით არის ფელინი და ანტონიონი. დონაძისა და მერაბიშვილის გემოვნება უკვე ყველას ზღვარს გასცდა“.**

კიწმარიშვილის განცხადებით, ყველაფერი, რაც შინაგან საქმეთა სამინისტროს ვიდეომასალებშია, ირონიას იწვევს, რომ არა იმ ადამიანების ბედი, ვინც დღეს დაკავებულები არიან და, რომელთა ოჯახების დატერორებაც ხდება.

მისივე განცხადებით, ისინი „ჩამოაგდებენ“ მიხეილ სააკაშვილს, მაგრამ არა ასეთი კომიკური სცენარებით, რომელსაც ეს ვიდეომასალები გადმოსცემს:

**„ჩვენ ჩამოვაგდებთ სააკაშვილს ისე, როგორც შეეფერება დიდ დიქტატორს — სამოქალაქო აქტიურობის გზით, ხოლო როცა დავიჭერთ ვანო მერაბიშვილს და ის იქნება იზოლატორში, მე მოგცემთ ჟურნალისტებს საშუალებას, რომ ვრცელი ინტერვიუ ჩაწეროთ მასთან, თუ როგორ ამზადებდა ის ყალბ ვიდეომასალებს“.**

ამავე დროს, კიწმარიშვილის თქმით, **„ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოუსვლელობის მიზეზი „დემოკრატიული მოძრაობის“ ლიდერის ნინო ბურჯანაძის არაადეკვატურობა გახდა“.**

**„ირაკლი ოქრუაშვილის საქართველოში ჩამოსვლა მართლაც იგეგმებოდა და ამას 24 მაისისთვის ვგეგმავდით. ის საქართველოში ჩვენი მოთხოვნის გამო არ ჩამოვიდა, ამ მოთხოვნის მიზეზი კი ის გარემოება გახდა, რომ იმ მომენტში ვერ დავარწმუნეთ მაშინდელი აქციის ორგანიზატორები იმაში, რომ წარმატება მხოლოდ ერთიანი პოზიციითა და რესურსების გაერთიანების პირობებში იქნებოდა მიღწეული. იმ მომენტში ბურჯანაძე რომ ადეკვატური ყოფილიყო, დღეს ჩვენ სულ სხვა რეალობაში ვისაუბრებდით და საქართველო სააკაშვილის რეჟიმისგან 1 თვის გათავისუფლებული იქნებოდა“.**

ამასთან, „ქართული პარტიის“ პოლიტიკური მდივანი არც იმაზე აკეთებს კომენტარს, თუ რა გეგმები აქვს ირაკლი ოქრუაშვილს საქართველოში ჩამოსვლასთან დაკავშირებით სამომავლოდ.

შსს-ს მიერ გავრცელებულ ოპერატიულ მასალას „თავისუფალი დემოკრატები“ ხელისუფლების ჩვეულ სტილს უკავშირებენ.

**„ეს კადრები კიდევ ერთხელ ადასტურებს, როგორ შეუძლია პოლიტიკოსს დააყენოს საკუთარი ინტერესები სახელმწიფოსა და ქვეყნის ინტერესებზე მაღლა. ეს არ არის მხოლოდ ოქრუაშვილის, არამედ ზოგადად ამ ხელისუფლების პრობლემა, რომლის სტილი და მანერა ასეთ უპასუხისმგებლო და კერძო ამბიციით მოქმედებასთან არის დამოკიდებული. ოქრუაშვილი ამ ხელისუფლების ნაწილი იყო და ის, რაც დღეს ვიხილეთ, ამ ხელისუფლების სტილის და მოქმედების ნათელი დადასტურებაა“,** — აცხადებს ლევან იზორია პარტიის სახელით.

* * *

**„თავისუფალი დემოკრატები“** ოქრუაშვილის საქართველოში შემოსვლის გეგმასთან დაკავშირებით მიუკერძოებელი და ობიექტური გამოძიების ჩატარებას ითხოვენ, რომლის შედეგად ამ მტკიცებულებების ავთენტურობა დამტკიცდება.

**„რესპუბლიკური პარტიის“** ერთ-ერთი ლიდერი **დავით ბერძენიშვილი** „ჯი-ეიჩ-ენთან“ საუბრისას მიიჩნევს, რომ შსს-ის მიერ გამოქვეყნებულ ჩანაწერებზე შეფასება პოლიტიკოსებმა კი არა, კინომცოდნეებმა უნდა გააკეთონ:

**„საქართველოში გვყავს ძალიან კვალიფიციური კინომცოდნეები: გოგი გვახარია, დავით ბუხრიკიძე. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გამოქვეყნებული ვიდეომასალები სწორედ მათი შესაფასებელია. მე სერიოზულად არ მიმაჩნია ამ ტიპის საკითხებზე პოლიტიკური კომენტარის გაკეთება“.**

რაც შეეხება უშუალოდ „ქართულ პარტიას“ და ირაკლი ოქრუაშვილს, ბერძენიშვილის განმარტებით, მათ მიმართ „რესპუბლიკელების“ პოზიცია უკვე ჩამოყალიბებულია და მას შსს-ის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერები ვერ შეცვლის:

**„ჩვენი პოზიცია არის მკაფიო. მიგვაჩნია, რომ ოქრუაშვილი არც ხელისუფლებაში ყოფნის დროს იყო კარგი მინისტრი და არც ოპოზიციაში ყოფნის დროსაა კარგი პოლიტიკოსი. ასევე გვახსოვს, რომ ამ გამოქვეყნებული მასალების ავტორები ოქრუაშვილის ვეზირები იყვნენ მრავალი წლის განმავლობაში. ასე რომ, ჩვენს პოზიციებს ეს მასალები არ განსაზღვრავს“.**

* * *

**„ახალი მემარჯვენეების“** ერთ-ერთი ლიდერი **მანანა ნაჭყებია** არ გამორიცხავს, რომ ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში სწორედ იმ სქემით შემოსულიყო, რომელიც შსს-მ გამოაქვეყნა:

**„ოქრუაშვილის მიერ გაკეთებული ცოტა უცნაური განცხადებებიდან გამომდინარე, შესაძლოა, მისგან მსგავსი მოქმედებები გასაკვირი არც იყოს“.**

თუმცა, მეორე მხრივ, „ახლების“ წარმომადგენელი არც იმას არ გამორიცხავს, რომ შსს-ის მიერ გამოქვეყნებული ჩანაწერები გაყალბებული იყოს, „რისი გამოცდილებაც ქართულ საზოგადოებას აქვს“:

**„ხელისუფლებას არაერთხელ შეურცხვენია თავი მსგავსი ტიპის დოკუმენტების ფაბრიკაციით. ამის გამო, ქართული საზოგადოება, პრაქტიკულად, გაორებულია და დასკვნას ვერ აკეთებს იმასთან დაკავშირებით, თუ რომელი მხარეა მართალი. საბოლოო ჯამში, ეს ჩვენი სახელმწიფოებრიობისთვის საფრთხის შემცველია. შეიძლება ისე დაგვემართოს, როგორც ერთ ქართულ არაკშია, როცა ცრუ „მგელი, მგელიო“ ყვირის და ბოლოს მგელი სწორედ მაშინ გამოჩნდება, როცა არავინ ელის. შეიძლება წარმოდგენილი ფაქტები არ იძლეოდეს კონკრეტულად ოქრუაშვილის შემთხვევაში ამ დასკვნის გაკეთების საშუალებას, მაგრამ ზოგადად, ეს ფონი რომ არსებობს, ცხადია“.**

**„ეროვნული საბჭოს“** ლიდერი **ზვიად ძიძიგური** შსს-ის მიერ გავრცელებულ ჩანაწერებს უნდობლობას უცხადებს და ვანო მერაბიშვილის უწყებას „ქოსატყუილას“ უწოდებს:

**„მე მახსოვს შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ გაშიფრული სქემა, თუ როგორ მოიკლა თავი ზურაბ ჟვანიამ, თუმცა შემდეგ გამოძიება ბოლომდე არ მივიდა და ეს სქემა არ დადასტურდა. 2003 წლიდან დაწყებული დღემდე დამთავრებული, შსს-ის მიერ გავრცელებული ბევრი ვიდეო და აუდიომასალა მინახავს, მაგრამ მასალების ადეკვატური სასამართლო განაჩენი არ მომისმენია. ამიტომ, ჩემთვის, შსს-ის ვერსიები იმასთან დაკავშირებით, თუ რა სქემით აპირებდა ირაკლი ოქრუაშვილი საქართველოში შემოსვლას, არადამაჯერებელია“.**

აღნიშნულის პარალელურად, ოპოზიციონერი ლიდერი მიიჩნევს, რომ „რაღაც გეგმები“ ირაკლი ოქრუაშვილს ნამდვილად ჰქონდა, თუმცა რა — „ამაზე მკითხაობა მიზანშეუწონელი და უსარგებლო საქმიანობაა“:

**„ოქრუაშვილს რომ რაღაც გეგმები ჰქონდა, ნამდვილად ვიცი. ის 25 მაისს საქართველოში ჩამოსვლას ტყუილად არ გამოაცხადებდა, მაგრამ რამდენად შეიძლებოდა იმ სქემით ესარგებლა, რომელიც შინაგან საქმეთა სამინისტრომ დახატა, ძნელი სათქმელია და ამაზე ლაპარაკი მკითხაობას უფრო ჰგავს“.**

**„თავისუფალი საქართველოს“** ლიდერის კახა კუკავას შეფასებით კი, „ქართული პარტიის“ მხარდამჭერთა დაპატიმრებები და სატელევიზიო აღიარებები, მოდელირებული „ქრონიკის“ გაგრძელებაა. მისი თქმით, **როდესაც ადამიანს დაიჭერენ, მისგან სასურველი აღიარებითი ჩვენებების მიღება პრობლემას აღარ წარმოადგენს და უკვე საჭირო აღარ არის შინაგან საქმეთა სამინისტროს ოპერატიული ვიდეომასალების გავრცელება, თუ სახელმწიფო არხების მხრიდან ვრცელი რეპორტაჟების მომზადება.**

კახა კუკავას აღნიშნული სატელივიზიო აღიარებები კინოფილმ „მონანიებას“ ახსენებს.

**მერაბ ბრეგაძე.**

Presage.tv

**მოსაზრება**

# ხშირად საერთაშორისო პოლიტიკის ეგოისტური ხასიათი და სამართლიანობის პრინციპები ერთმანეთს არ ემთხვევა



***საფრანგეთ-რუსეთის დაახლოებისა და საქართველოს კონფლიქტებისადმი საფრანგეთის უმოქმედობის მიზეზებზე, ასევე, საქართველოში საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს ბოლოდროინდელ განცხადებებსა და განმარტებებზე „ინტერპრესნიუსი“ ექსპერტს საერთაშორისო საკითხებში ლევან ცუცქირიძეს ესაუბრა.***

**— ბატონო ლევან, პარიზში ვიზიტისას რუსეთის პრემიერ-მინისტრმა ვლადიმერ პუტინმა განაცხადა, რომ „საფრანგეთი რუსეთისთვის სტრატეგიული პარტნიორია და ეს ცარიელი სიტყვები არ არის“. ვაშინგტონისა და ლონდონის პროტესტის მიუხედავად, პარიზმა მოსკოვს „მისტრალი“ მიჰყიდა. ევროპის სხვა ქვეყნებიც რუსეთისადმი ლოიალურ დამოკიდებულებას აფიქსირებენ. თქვენი აზრით, რა ხდება ზოგადად ევროპასა და რუსეთს, საფრანგეთსა და რუსეთს შორის კონკრეტულად?**

— რუსეთი თავისი მნიშვნელობით დიდი სახელმწიფოა ევროპისთვის და მისი ცალკეული წევრებისთვის. ევროკავშირის დამოკიდებულება რუსეთისადმი ერთსულოვანი და შეწყობილი არ არის. მიუხედავად ამისა, ამ ეტაპზე ვერ ვიტყვით, რომ რუსეთის ეკონომიკური და ფინანსური პოტენციალის გავლენა ევროპულ პოლიტიკაზე დიდი არაა. რუსეთს ადრეც ყოველთვის ჰქონდა გავლენა ევროპაში. ეს ნათლად მაშინაც დადასტურდა, როცა საქართველომ ბუქარესტის სამიტზე ნატოში გაწევრების სამოქმედო გეგმა — MAP-ი ვერ მიიღო. ენერგომატარებლების მაღალი ფასებისა და ფინანსური კრიზისის ფონზე, რუსეთს ევროპაზე გავლენა ახლაც აქვს. თავად ევროპის ქვეყნებს შორისაც არსებობს კონკურენცია რუსეთიდან ენერგორესურსების მოზიდვის თვალსაზრისით. ამიტომ, ევროპისთვის რუსეთი ერთ-ერთი საინტერესო რესურსია როგორც კაპიტალდაბანდებების, ისე ენერგომატარებლების მოზიდვის თვალსაზრისით. ამ მხრივ საფრანგეთის აქტიურობა გამოწვეულია იმითაც, რომ მისი სამხედრო ინდუსტრია რუსეთს აინტერესებს.

რუსეთს კარგად ესმის, რომ მისი შეიარაღება და ტექნოლოგიური აღჭურვილობა დასავლურ სტანდარტებს ჩამორჩება და ამიტომაც მათ შორის ორმხრივი ინტერესი არსებობს. რუსეთს სურს, საფრანგეთისაგან იყიდოს ახალი ტექნოლოგიები, ხოლო საფრანგეთს სურს, გაიუმჯობესოს ეკონომიკური მდგომარეობა. სარკოზისაც სჭირდება დამატებითი იმპულსი თავისი პოლიტიკისათვის. საფრანგეთი დაინტერესებულია თავისი სამხედრო აღჭურვილობის გაყიდვით. ეს ის ვითარებაა, როცა სარგებელი ორივე მხარეს აქვს. ეს კი ჩვენთვის ერთგვარი საფრთხის შემცველია.

**— ამას წინათ, ევროპარლამენტმა კიდევ ერთი რეზოლუცია მიიღო საქართველოსთან დაკავშირებით, სადაც რუსეთს ოკუპირებულ ტერიტორიებზე პასპორტების დარიგების შეწყვეტისა და ამავე ტერიტორიებიდან სამხედრო ძალების გაყვანისკენ მოუწოდა. პარალელურად, ევროპა რუსეთთან ურთიერთობებს აღრმავებს. რეალურად რასთან გვაქვს საქმე — თვალთმაქცობასთან თუ ჩვეულებრივ ორმაგ სტანდარტებთან, ყოველ შემთხვევაში, ფაქტია, რომ საერთაშორისო ურთიერთობებში გარკვეული შეუსაბამობის კონტურები სახეზეა?**

— ერთგვარი შეუსაბამობა შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენ გამარტივებულად არ უნდა შევხედოთ პოლიტიკას და, ზოგადად, საერთაშორისო ურთიერთობებს, რომელიც მრავალშრიანია. დასავლეთი ზოგადად და ამ შემთხვევაში ევროკავშირი აფხაზეთთან და სამხრეთ ოსეთთან მიმართებაში არაღიარების პოლიტიკას ახორციელებს, ეს ჩვენთვის მნიშვნელოვანი მხარდაჭერაა. მაგრამ, რა თქმა უნდა, არსებობს სხვა ინტერესებიც, რომელიც აქვს დასავლურ სახელმწიფოებს რუსეთში და მათ დავიწყებაზე რთული იქნება საუბარი. არის პრაგმატული, ეგოისტური ინტერსები და შეიძლება ითქვას, რომ პოლიტიკა არის ასეთი.

ამიტომაც, ჩვენ არ უნდა გაგვიკვირდეს, რომ ერთი მხრივ გრძელდება ძალისხმევა, რათა შესრულდეს 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმება, დაუშვან საერთაშორისო მონიტორები ადმინისტრაციული საზღვრის მეორე მხარეს, ამ საკითხს საერთაშორისო თანამეგობრობა რეგულარულად აყენებს-ხოლმე. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ არსებობს ეკონომიკური და ფინანსური ინტერესები; ჩვენი მხრიდან ამ ინტერესების უგულვებელყოფის მოლოდნი, რომ ხვალიდან ევროპული სახელმწიფოები ამას გვერდზე გადადებენ და ჩვენს პრობლემებზე იფიქრებენ, არ იქნება რაციონალური. თუმცა შესაძლოა, ამგვარი მოლოდინი იყოს სამართლიანი. სამწუხაროდ, ძალიან ხშირად, საერთაშორისო პოლიტიკის ეგოისტური ხასიათი და სამართლიანობის პრინციპები ერთმანეთს არ ემთხვევა ხოლმე.

**— თუ რამდენჯერმე ცალყბად გაკეთებულ განცხადებებს არ ჩავთვლით, საფრანგეთის პრეზიდენტს ნიკოლა სარკოზის 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების შესრულებისთვის პრაქტიკულად არაფერი გაუკეთებია. მესმის, რომ ქართული მხარე დიპლომატიურად არიდებს თავს საფრანგეთის საჯაროდ კრიტიკას, მაგრამ ხომ არ სჯობდა თავისი სახელი დაგვერქვა ყველაფრისათვის, კერძოდ იმასათვის, რომ პარიზი საქართველოს საკითხში არა თუ დუმილს ამჯობინებს, 2008 წლის 12 აგვისტოს შეთანხმების რეალიზაციის ორგანიზატორის ფუნქციის შესრულებაზე უარი აქვს ნათქვამი?**

— ჩვენ საკმაოდ რთული ამოცანის წინაშე ვდგავართ. ერთი მხრივ ძალიან გვჭირდება როგორც დიდი, ისე მცირე ზომის სახელმწიფოების მხარდაჭერა, რომლის არსებობის შესახებ შესაძლოა, ბევრი არაფერი ვიცოდეთ. მეორე მხრივ, ევროკავშირი არის ჩვენთვის მთავარი პარტნიორი. ამ მხრივ გვჭირდება დიპლომატიურობა ჩვენი პრინციპების დასაცავად. ყველას უნდა შევახსენოთ, რომ ჩვენი პრობლემა არ არის მხოლოდ ჩვენი პრობლემა. ისტორია და წარსული აჩვენებს, რომ ამგვარი საკითხების უგულებელყოფა ხდება უფრო დიდი პრობლემების სათავე. მეორე მხრივ, ჩვენ არ გვინდა კონფრონტაციაში შესვლა ისეთ სახელმწიფოებთან, რომლებსაც მნიშვნელოვანი ზეგავლენის მოხდენა შეუძლიათ საქართველოს მომავალზე. ამიტომაც, ვფიქრობ, საკმაოდ დელიკატური დამოკიდებულებაა საჭირო. ეს სულაც არ ნიშნავს პრინციპებიდან და ჩვენს წინაშე არსებული ამოცანებიდან უკან დახევას, მაგრამ უნდა დავიცვათ ბალანსი, რომ ამან კონტრშედეგი არ მოგვიტანოს.

**— ალბათ შემთხვევითი არ იყო, რომ პუტინის პარიზში ყოფნისას გავრცელდა ინფორმაცია რუსეთის მიერ აფხაზეთში სამშვიდობო კონტინგენტის 1500 ჯარისკაცით გაზრდის შესახებ. გავრცელებულ ინფორმაციაში უცნაური ის გახლავთ, რომ რუსი ცისფერჩაფხუტიანები აფხაზეთში გაეროს ეგიდით 2008 წლის აგვისტომდე იდგნენ. მაგრამ ახლა საერთოდ გაუგებარია, ვინ განუსაზღვრა მათ მშვიდობისმყოფელის სტატუსი?**

— გავეცანი ამ ინფორმაციას, რომელიც ჯერჯერობით არ დადასტურებულა. ყოველ შემთხვევაში, ინფორმაცია მხოლოდ ერთმა სააგენტომ რუსეთის თავდაცვის სამინისტროს ანონიმურ წყაროზე დაყრდნობით გაავრცელა. ჯერ ვერ ვიტყვით, ამ საკითხზე ნამდვილად მიღებულია თუ არა გადაწყვეტილება. ამ მოვლენების დამთხვევა შესაძლოა, რუსეთის მხრიდან ამ საკითხზე ნიადაგის მოსინჯვას უკავშირდებოდეს. შესაძლოა, რუსეთი გავრცელებულ ინფორმაციაზე პარტნიორი ქვეყნების რეაქციას ელოდება. ყოველ შემთხვევაში, ამაზე არ უსაუბრია არც პუტინს და არც — მედვედევს.

სხვა მხრივ, რუსეთი თავს ყოველთვის მშვიდობისმყოფელად მიიჩნევდა. მისი პროპაგანდის ნაწილი იმაზე გადის, რომ მშვიდობიანი მოსახლეობის დამცველია. ასეთი ვითარება პოლიტიკისა და ცინიზმის ნაზავია. იმაში მაინც ვარ დარწმუნებული, რომ საერთაშორისო საზოგადოებამ კარგად იცის საქართველოს მიმართ რუსეთის პოლიტიკის არსი. კერძოდ ის, რომ აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის კონტექსტში რუსეთის მოქმედებას მშვიდობისმყოფელობასთან ან რომელიმე ეთნოსის დაცვასთან არანაირი კავშირი რომ არა აქვს; 2008 წლის აგვისტოში რუსეთის მოქმედება კრემლისთვის სასიცოცხლოდ მიჩნეულ რეგიონში მხოლოდ რუსეთის გავლენის შენარჩუნებასა და გაზრდას რომ ემსახურებოდა.

**— საფრანგეთის ელჩის ერიკ ფურნიეს განცხადებებმა ქართულ პრესაში დიდი მითქმა- მოთქმა გამოიწვია, რაც ქართულ პრესის კრიტიკას ეხება. ამას როგორმე აიტანდა კაცი, მაგრამ 1921 წელს ქართველების ოსთა გენოციდში დადანაშაულება და ამ საკითხში რუსული პროპაგანდისტული კლიშეს გამოყენება ელჩის მხრიდან აშკარად ზღვარსგადასული ქმედება რომ იყო, უდავოა. ბატონმა ფურნიემ კი განაცხადა, მხოლოდ ძველი წყენების დავიწყებისაკენ მოგიწოდეთო, მაგრამ თქვენ როგორ შეაფასებდით საფრანგეთის ელჩის პრესაში გავრცელებულ მოსაზრებას?**

— გავეცანი ბატონ ფურნიეს განმარტებებს. მისი განმარტებები ჩემთვის გასაგები და მისაღებია. მოხარული ვარ, რომ მისი ეს განცხადება გაკეთებული იყო სწორედ ძველი წყენების დავიწყებისკენ. ვფიქრობ, ძალიან კარგია, რომ ბატონმა ელჩმა განმარტებები გააკეთა. სხვა შეფასებებს ვერ გავაკეთებ, ვინაიდან მან შეძლებისდაგვარად გააკეთა განმარტებები იმ საკითხებზე, რომელთაც ქართულ პრესაში გარკვეული აზრთა სხვადასხვაობა მოჰყვა.

**— ჟურნალ „თბილისელებისათვის“ ელჩის მიერ მიცემულ ინტერვიუში იმდაგვარი კონტექსტია, თითქოს საქართველოს მთლიანობის მოთხოვნა ნაციონალიზმის გამოვლინებაა, რომელიც ქართველებმა უნდა დავძლიოთ. უპრიანი ხომ არ იქნებოდა ბატონ ელჩისთვის იმის შეხსენება, რომ საქართველოში იმ ქვეყანას წარმოადგენს, რომლის პირველმა რესპუბლიკამ ვანდეას მხარეში მცხოვრებ კონტრრევოლუციურად განწყობილი, ლუდოვიკო მე-16-ის მხარდამჭერი თავადების, გლეხებისა და წვრილი მეწარმეების ამბოხი სასტიკად ჩაახშო, რასაც 40 ათასი ადამიანი შეეწირა და 200 ათასი მოქალაქე იძულებული გახდა, ვანდეას ოლქი საერთოდ დაეტოვებინა. სწორედ ამის გამოა, რომ სიტყვა „ვანდეა“ კონტრრევოლუციის ჩახშობის სინონიმად არის ქცეული.**

**გითხრათ სიმართლე, ბატონი ელჩის განმარტებები მაინცადამაინც დამაჯერებელი არ არის. ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ საფრანგეთის ელჩის მიერ რუსული პროპაგანდისტული კლიშეების გამოყენება სწორედ რომ პარიზსა და მოსკოვს შორის მორიგი დათბობის ნაწილიც იყოს და არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ თუ რუსეთის სათათბირომ „ოსთა გენოციდი“ აღიარა, პარიზი მას ამაში მხარს დაუჭერს?**

— დიახ, ბატონი ელჩის ინტერვიუ სხვადასხვანაირი ინტერპრეტაციის საფუძველს ბადებდა. მაგრამ მას შემდეგ, რაც მან განაცხადა, რომ მისი მოსაზრებები წყენების დავიწყებისაკენ, ისტორიული საკითხების გადალახვისკენ და მომავალზე ყურებისაკენ იყო მიმართული, ვფიქრობ, რომ დროული და კარგი იყო. ის ორაზროვნება, რომელიც ელჩის ინტერვიუმ გააჩინა რომ დარჩენილიყო, არ წაადგებოდა არც კონფლიქტის მოგვარების საქმეს და არც ქართულ-ფრანგულ ურთიერთობებს. ჩვენთვის ეს ურთიერთობები ძალიან მნიშვნელოვანია.

**კობა ბენდელიანი**

**პროტესტი**

# „თრიალეთი“ „აგვისტოს 5 დღის“ შემქმნელებს სასამართლოში უჩივის

**ტელერადიო კომპანია „თრიალეთი“ აპროტესტებს რენე ჰარლინის ფილმს „აგვისტოს 5 დღეს“, რომლის ერთ-ერთ ეპიზოდში „თრიალეთის“ შესახებ არაობიექტური ინფორმაციაა ასახული.**

ამ ეპიზოდის მიხედვით, თითქოს უცხოელი ჟურნალისტები ცდილობენ ტელეკომპანიაში მასალის მიტანას, მაგრამ შენობა დაკეტილი ხვდებათ. რეჟისორი კადრში აჩვენებს „თრიალეთის“ ლოგოს და ჯაჭვით დაკეტილ კარს.

სინამდვილეში საქმე სულ სხვაგვარად იყო, გვამცნობს განცხადება, — ჩვენი კარი არათუ დაკეტილი იყო, არამედ სწორედ ჩვენს ტელეკომპანიაში გახლდათ განთავსებული მედიაცენტრი, საიდანაც ათეულობით ჟურნალისტი (მათ შორის მსოფლიო წამყვანი მედიასაშუალებებიდანძ გადასცემდა ახალ ამბებს.

საგანგებო განცხადებაში აღნიშნულია, საომარი მოქმედებების დროს ყველა ველოდებოდით, რომ პირველ დარტყმას სწორედ ჩვენ მივიღებდით, მაგრამ, ამის მიუხედავად, არც ერთ თანამშრომელს საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასადაც კი შენობა არ დაუტოვებიაო. ხოლო მას შემდეგ, რაც გორის ტელეცენტრი დაიკავეს, მწყობრიდან გამოვიდა გადამცემი და მოსახლეობის გაფრთხილების გარეშე ქალაქიდან გაიქცა ადგილობრივი ხელისუფლება, გუბერნატორი და სხვა სამართალდამცავი ორგანოები, მხოლოდ მაშინ დატოვა ქალაქი თანამშრომლების ერთმა ნაწილმა, თანამშრომელთა დიდი ნაწილი კი კვლავ ტელეკომპანიის შენობაში იმყოფებოდა.

„კატეგორიულად ვაცხადებთ, რომ ტელეკომპანია „თრიალეთის“ კარი არც ერთი წუთით არ დაკეტილა.

თუ ფილმის რეჟისორს დაკეტილი კარის გადაღება უნდოდა, მას შეეძლო გუბერნიის შენობა გადაეღო!

ხელისუფლება საკუთარი სარეკლამო ფილმით სამაგიეროს გვიხდის იმის გამო, რომ ჩვენს ეთერში შუქდება მიუკერძოებელი და ობიექტური ინფორმაცია, რაც მათთვის მიუღებელია.

ასეთი საშინელი, შეკვეთილი სიცრუითა და ცილისწამებით, — რომ თითქოს „თრიალეთის“ თანამშრომლები გაიქცნენ ომის ეპიცენტრიდან, — ხელისუფლება ცდილობს, შელახოს ჩვენი ტელეკომპანიის თანამშრომლების პროფესიული და ადამიანური ღირსება.

აქედან ნათლად ჩანს, თუ როგორ ხორციელდება ტელეკომპანიაზე ზეწოლა და რამდენად რთულ და საშიშ მდგომარეობაში ვმუშაობთ!

ფილმის რეჟისორს ამ კონტექსტში ტელეკომპანია — „თრიალეთის“ ლოგოსა და შენობის ჩვენების არანაირი უფლება არ ჰქონდა. ჩვენ საქმე გვაქვს ფაქტების განზრახ დამახინჯებასთან, რაც ტელეკომპანია „თრიალეთის“ დისკრედიტაციას ისახავს მიზნად. დარწმუნებული ვართ, რომ ეს ქვეყნის პირველი პირების დავალებით მოხდა.

ტელერადიო კომპანია „თრიალეთი“ ღირსებისა და საქმიანი რეპუტაციის შელახვისთვის, ფილმის რეჟისორის რენე ჰარლინის და პროდიუსერების პაპუნა დავითაიასა და კობა ნაყოფიას წინააღმდეგ სასამართლოს მიმართავს“, — აღნიშნულია წერილში.

**ნატა ნიბლაძე**

◎ პოზიცია

**„...იუმორს ან ირონიას მოკლებული ადამიანი გარკვეულ ეჭვს იწვევს. ჩვენ ხომ ყველა დანარჩენ ცოცხალი არსებებისგან ამ თვისებებით განვსხვავდებით და თუ ეს შინაგანი ნიჭი ვინმეს არ გააჩნია, მეტად პრიმიტიული არსებაა...“. ასე დავწერე ერთ ჩემს სტატიაში, მაგრამ მნიშვნელოვანი დამატება გამომრჩა: ყოველ დღე და ყოველ წუთს ადამიანი რაღაცა ზომიერება გადასულს, ან პრიმიტიულს, ან ბრიყვულს აწყდება და ლაკონიურად უკეთებს კომენტარს: „ანეკდოტია!“. ეს სხარტი რეაქცია ხან სარკაზმის, ხან სიმწრის, ხან უიმედობის, ხან კი სინანულის გამოვლენაა... მეტწილად ეს ინტელიგენციას ახასიათებს, როგორც სუსტი და ამავე დროს ჯიუტი პროტესტის გამოვლინება. დავაკვირდეთ თბილისელების ამგვარი პროტესტ-გაკიცხვის ზოგიერთ მაგალითს:**

# „ანეკდოტი...“



● ანეკდოტია, როდესაც მერიის კანცელარიაში ახალგაზრდა ჩინოვნიკი რვა სტრიქონს შვიდი წუთი კითხულობს(!) და შინაარს მაინც ვერ იგებს...

● უამრავი პროფესიონალი მუსიკათმცოდნის და საერთოდ ინტელიგენტ-ერუდიტის ქვეყანაში, ლაშა ბუღაძე და ნოდარ ლადარია რომ მოგვევლინებიან საოპერო ხელოვნების უალტერნატივო(?!) ექსპერტებად – ანეკდოტია!

● ჟურნალისტები და ტელეწამყვანები გამართული ქართულით რომ ვერ მეტყველებენ: მწირ ლექსიკონში წამდაუწუმ „ანუ“-ს რომ იშველიებენ, ზოგიერთი კი ისე გულის ამაჩუყებლად, თაფლმწვეთარედ საუბრობს (მაგალითად, მაია ასათიანი), რომ მხოლოდ ერთი ფიქრი გიჩნდება: მურაბას ხომ არ „აგლახავებს პირში“ ეს ცოდვით სავსე? – ანეკდოტამდე დასული რეალობაა.

● ანეკდოტია, როდესაც ფინანსთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოს იურისტს თეონა ჟორდანიას არ ესმის ხელშეკრულების ფორმალური გაფორმების სპეციფიკის არსი.

● ნიჭიერი ნიკა მემანიშვილი ბავშვურ დონემდე დაწვრილმანებულ „შეჯიბრს“ რომ უმართავს კოლეგას, გაკვირვების და სინანულის ღიმილს იწვევს: მან „ბარბალე“ – მე კი „ქეთო და კოტე“-ო!; მას მუსიკალური ცენტრი – მეც მუსიკალური ცენტრიო!; ეს მას... – მე კი ესაო!.. – ანეკდოტია, აბა რა არის?!

● თუ თავდაცვის მინისტრს არ აინტერესებს ჩვენი ოფიცრობის ღირსების, კეთილშობილების დახვეწა, სამხედრო დინასტიების ჩამოყალიბებით სამხედრო არისტოკრატიის აღორძინება... – ეს ანეკდოტი მხოლოდ მასზე კი არ

ინტერესო იყო, მაგრამ, ჩვენში დარჩეს პატივცემულო, თქვენ ამის ყველაფრის მართლა გჯერათ?“ – აი, გადასარევი ანეკდოტი!

● ვითომ არავინ ხვდება, რატომ გვიანდება უზარმაარ უნივერსიტეტში, ერთი, ხშირად კი ორი კვირით ხელფასის გაცემა? გამცემიც და მიმღებიც ხალისიანად მონაწილეობენ „წარმოდგენაში „გაუგებრობანა“ – ანეკდოტია...

● სტატუსი, ეტალონი, წოდება... ანეკდოტში მათი მნიშვნელობა ან ქრება, ან თავდაყირა ბრუნდება: ინგა გრიგოლია – კანონშემქმნელი პოლიტიკოსი!? გივი სიხარულიძე – ქართველი მამაკაცის ეტალონი!? – ხალხო, ანეკდოტია!

● თუ შალვა ნათელაშვილი მართლაც რესპუბლიკურ პროკურატურაში პარტიული ორგანიზაციის მდივანი იყო... ეხლა კი დემოკრატიაზე და ხალხზე ზრუნავს – ეს ათწლეულის ანეკდოტია!

● გინეკოლოგი ვერ იქნება ეკონომიკის, ან ბიოლოგი თავდაცვის მინისტრი. არსებობს თუ არა რაღაც ობიექტური, ლოგიკური, რაციონალური თვითშეზღუდვა? არა, თურმე არ არსებობს: ენთუზიაზმით შეპყრობილი პრეზიდენტის მრჩეველი, სახალხო დამცველის ენერგიული შეგირდი, საგარეო დაზვერვის შეუპოვარი ხელმძღვანელი, ქვეყანაში განათლება-მეცნიერების მშენებელი, ერის ბიოლოგიურ უშიშროებაზე თავგადადებული მზრუნველი... ნეტავ რა დაამთავრა, რა განათლებისაა – რაა მისი პროფესია? რომ იცოდეთ, ანეკდოტიაო შესძახებთ!

● ინტელიგენცია, ელიტა... – რა მიმზიდველი წოდება-დახასიათებაა! მედია და მასში მცურავი არსებები, თვითონ ამ ორივეს მოკლებულნი, დაუფიქრებლად

არის – უკვე მთელს სახელმწიფოზეა...

● როდესაც წყლით და ელექტროენერგიით მოწესრიგებულ თბილისში სამი დღე ისე არ გაივლის, ხან ერთი, ხან მეორე მოსანატრი არ გაგვიხდეს... – ანეკდოტია!

● ნეტავ რომელმა კონსულტანტმა შეურჩია პრეზიდენტს საორდენოდ ვახტანგ მაჭავარიანი? ან ნეტავ რას ფიქრობდა თვით ვახტანგ მაჭავარიანი, როდესაც გაბღენძილი ორდენს იღებდა? მოკლედ, მთლიანობაში, ეს ორდენის ისტორია ანეკდოტია.

● პროფესორმა ფიზიკოსმა წაიკითხა ლექცია კოსმოლოგიაზე – შეეხო თეორიული ფიზიკის სიღრმისეულ პრობლემებს: დიდ აფეთქებას, ელემენტალურ ნაწილაკებს, სამყაროს შექმნას... მომავალმა მეცნიერებმა ყურადღებით მოუსმინეს და მერე, ინტიმურ ვითარებაში, ჰკითხეს: „ძალიან საინტერესო იყო, მაგრამ, ...

ურიგებენ ამ „წოდებებს“ ვინც თვალში მოხვდებათ, ან სამსახურებრივი მოვალეობის მოსახდელად, ან სულაც თვით ამ „წოდებების“ მაძიებელთა მინიშნებით. ამიტომაც დღეს ელიტის რიგებში სახელდებიან ფინანსური შეძლებით ან თანანმდებობით გამორჩეული ადამიანები – უვიცობის და უკულტურობის ანეკდოტური ზეიმია!..

● სავსებით მოსალოდნელი ანეკდოტი: ეს დღეები ყოფილმა ფინანსთა მინისტრმა თითქოს წყალი დაიგუბა პირში – სამომავლო გეგმებს არ ამხელს – ანეკდოტია, ვინაიდან ფინანსისტს უეჭველად ფული უნდა ესიზმრებოდეს, კერძოდ კი საქართველოს საფოსტო ბანკი... ეს მიამიტური გატრუნვა ანეკდოტურია.

ევროპაში დაბრუნების გზაზე ჩვენ ვჩქარობთ და მთავარს არ ვამჩნევთ: ადამიანის, საზოგადოების, ერის ცივილიზებამ ჯერ ადამიანის თავში უნდა დაიბუდოს და მხოლოდ ამის შედეგად შესაძლებელია ის მყარად აისახოს სახელმწიფოს მართვის სისტემაში, კანონების აღსრულებაში და უშუალოდ ადამიანების თვითშეგრძნებაში, მათ ქცევაში... ევროპული გზის ჩვენებური, ანეკდოტური ხედვა პიროვნების თვითშეგნებას ბოლოსთვის იტოვებს და წარმოშობს იმიტირებისადმი მიდრეკილებას. აქედან ვიღებთ შედეგს – ანეკდოტურ რეალობას... ისიც არის სათქმელი, რომ ჩვენს მიერ რეალობის ჭეშმარიტ აღიარებას საზოგადოებაში სერიოზული ოპონენტებიც ჰყავს – ტუჩების ბრეცით ცდილობენ ანეკდოტური შემთხვევა, მოვლენა, ფაქტი გააქარწყლონ ან პირიქით შეგიბრუნონ და... „ზნეობის სასამართლო“ მოგიწყონ. თავისთავად, ესეც გრანდიოზული ეროვნული ანეკდოტია...

თუ ანეკდოტური შეფასება სხვადასხვა ხარისხის და შინაარსის სიცილს იწვევს, გამოდის რომ იუმორის გრძნობა გვაქვს, ე.ი. სრულყოფილი, ადამიანები ვართ. აღსანიშნავია, რომ თვით ანეკდოტების გმირი პერსონაჟები თითქმის არასდროს იღიმებიან... ე.ი. იუმორს და ირონიას მოკლებულნი არიან და, როგორც მეტად პრიმიტიული არსებანი, ეჭვს იწვევენ ამოუცნობი ქცევით, გაუგებარი ზნეობით და საშიში მიდრეკილებებით...

ცხოვრებაში ბევრი რამ დამოკიდებულია ზომიერებაზე. ეს იუმორსაც ეხება. დღეს ანეკდოტების სიჭარბემ, კრიტიკულ მასას მიაღწია – ჩვენი ირონია უკვე სხვა ხარისხში გადადის...

რატომ? ბევრი მეცნიერი, ხელოვანი პირად ცხოვრებაში აუტანელი და საზიზღარი იყო, მაგრამ მათ შექმნეს და დაგვიტოვეს მეტად ფასეული და საამაყო მემკვიდრეობა. პრიმიტიული არსებანი კი, მათი ნაკლული აზროვნებით და ბიწიერი სულიერებით აიგივებენ რა ამ ადამიანების პირად თვისებებს იმათ პროფესიულ წარმატებასთან (შემოქმედებაში, მეცნიერებაში...), მზად არიან წამოიწყონ „კუდიანებზე ნადირობა“ – ხაზი გადაუსვან უფროსი თაობის მართლა გასაფრთხილებელ დანატოვარს – ერისთვის საამაყო მემკვიდრეობას... მოგეხსენებათ – სულიერი მანკიერების „პროგრესი“ უსაზღვროა, თითქმის უსასრულო... დღეს უკვე შესამჩნევი მარგინალური აგრესია მოწმობს უკიდურეს ზღვრამდე მიახლოებას – საზოგადოებაში ფეთქებადი კრიტიკული მასის წარმოქმნას. სწორედ მაშინ ანეკდოტების ხანა მთავრდება და იწყება ეროვნული ტრაგედია...

**მალხაზ ჟვანია**

◎ პოეზიის ფესტივალი

# პოეტებს „წმინდა ნინოს ჯვარი“ გადაეცათ

**ეროვნულ ბიბლიოთეკაში გაიმართა ქრისტიანული პოეზიის პირველი ფესტივალის „წმინდა ნინოს ჯვრის“ რჩეულ ლექსთა კრებულის წარდგენა და გამარჯვებულ ავტორთა დაჯილდოება. ფესტივალის ორგანიზატორები არიან: სამშვიდობო ორგანიზაცია „სადაკო,“ წმინდა ილია მართლის სახელობის სალიტერატურო ჟურნალი „საქართველოს მოამბე“ და სალიტერატურო ჟურნალი „ოლე.“**




ფესტივალზე ლექსები 228 ავტორმა წარმოადგინა, მათ შორის საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველებმა. ჟიურიმ ფესტივალის ლექსთა კრებულისთვის შეარჩია 68 ავტორის თითო ლექსი. კრებულში შევიდა რუსთავის მეექვსე საპყრობილის მსჯავრდებულის ირაკლი გველესიანის ლექსი.

ფესტივალის ჟიურიმ – **მამა ილიამ (ნუგზარ ჩიკვაიძე), გივი ჩილვინიძემ, მიხეილ ღანიშაშვილმა** ქრისტიანული პოეზიის პირველი ფესტივალის საუკეთესო ლექსებისთვის პრიზით –„წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა: **გივი ილურიძე, მარიამ წიკლაური, ლია რუსიაშვილი, ბესო ხვედელიძე.**

საორგანიზაციო კომიტეტმა (თავმჯდომარე ლია დაუშვილი) ღვთის სიტყვის ქადაგებისთვის, ეროვნული ცნობიერების განმტკიცების და პატრიოტიზმისთვის პრიზით – „წმინდა ნინოს ჯვარი“ დააჯილდოვა: **ჭაბუა ამირეჯიბი – ბერი დავითი, ჯანსუღ ჩარკვიანი, თინათინ მღვდლიაშვილი, მამა ილია (ნუგზარ ჩიკვაიძე).**

ავტორებს პოეზიის კრებული საჩუქრად გადაეცათ. ქალბატონი ლია დაუშვილის თქმით, ფესტივალი ყოველი წლის ივნისში გაიმართება და ხელს შეუწყობს მართლმადიდებლური ღირებულებების გავრცელებას, ჭეშმარიტი სარწმუნოებისა და სულიერების განმტკიცებაში მწერლობის მნიშვნელობის გაზრდას, პოეტების წახალისებას და ეროვნულ საქმეში სარწმუნოების როლის ამაღლებას.

პრიზის „წმინდა ნინოს ჯვარი“ ავტორია **მარიკა მაჭავარიანი,** კომპიუტერული ვერსია **შორენა ოთხოზორიას** ეკუთვნის.

ითქვა, რომ კარგი იქნება თუ საპატრიარქოს ტელევიზია „ერთსულოვნება“ კრებულში შესული ავტორების პოეზიას დაუთმობს ეთერს.

**ნატა ნიბლაძე**

◎ პოეზია

## ვანო ჩხიკვაძე



### ემიგრანტი

მივემგზავრები პარიზს,
ან სულაც ქვეყნის დასალიერს.
ჩქარა, ნოსტალგიის შხამი
გზაში დამაწიე, სალიერ!

ჩქარა, სიმულვილი მწამლავს,
მომდევს ზიზღითა და გამეხებით.
წავალ, ორთქლმავალის კვამლად
მეწამულ ღრუბლებს ჩავეხვევი.

მაჯაზე აჩქარდა პულსი,
მეც ერთხელ გადავირევი და...
მწუხრის საგალობელს ვუსმენ
ჩემი მარტოობის დილეგიდან.

მივემგზავრები, მივალ,
მიმყვება ლოცვა და ანათემა.
და ჩემს მოლოდინში წვიმა
ცისარტყელას ჟულფში თავთავდება.

მივემგზავრები პარიზს,
ან სულაც ქვეყნის დასალიერს.
ჩქარა, ნოსტალგიის შხამი
გზაში დამაწიე, სალიერ!

მივემგზავრები მალე,
ღამის ხერხემალზე ამოსული,
მიმყვება სამი დღის მთვარე —
მუნჯი, კუზიანი მარტოსული.

სადღაც, დაკარგულში სრჩოლავს
თეთრი, მომლოდინე კამელია.
ნატვრა არ ამიხდა — ბოლოს
სული შენს კალთაზე დამელია.

შენი მოფერება მეგრძნო,
სისხლის ამღერება საფეთქელთან,
შენი უკვდავების ფესვი,
შენი გაზაფხულის დაფეთება...

ღამეში ლაპლაპებს ობლად,
დამრული ვაგონის სახელური.

რა მრჩება? —
ღორების გობი
ფურთხსა და ნაგავში გასვრული.

ქვეყანა — ღალატის ბზარით
მოღნიოშებული ცხრაკლიტული.
სამშობლო — ცოცხალი მკვდარი,
სიკვდილშიც ლაღი და არტისტული.

სადღაც, დაკარგულში სრჩოლავს,
თეთრი, მომლოდინე კამელია.
ნატვრა არ ამიხდა — ბოლოს
სული შენს კალთაზე დამელია.

და მაინც სიზმრებით აქ ვარ,
მაღლივით დაბმული სახატესთან,
ვიდრე მახრჩობელა ჯავრის
მდუღარე სახულეს გადაკეტავს.

**სიბერესთან შეუპოვარი**



# ოთხმოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის...

**რომ შევუძახე, მეგობრული კეთილ-განწყობილების ნიშნად, რუსთაველზე ახალგაზრდულად მიმავალ პოეტ ვასილ გვეტაძეს გალაკტიონის ცნობილი სტრიქონის — „სამოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“ — პერიფრაზი, — „ოთხმოცდაათი წლის პოეტი ქუჩაში მიდის“, შემობრუნდა, შემიცნო, გულითადად მომესალმა და სათვალიდან შემომცინა: — გეშლება, უკვე ოთხმოცდა-თერთმეტისა ვარ, ჩემო ძმაო!.. მივდივარ ქვევით ნელ-ნელა...**

**— ჯერჯერობით, რუსთაველზე რომ ყოჩაღად მიდიხართ, ამას ვხედავ, ბატონო ვასო, და დანარჩენი ღმერთმა იცის... ისე, ხომ კარგად ბრძანდებით?..**

— ვარ... ვუძლებ... ახალგაზრდები იყავით კარგად და, ჩემთვის უკვე ყოველი დღე ნაჩუქარია უფლისგან... ეეეე... ათას რამეს მოვესწარი...

**— ბატონო ვასო... ნახეთ, რა ამინდია, აი, „სამაიას“ ბაღიც, ჩამოვსხდეთ... თუ დამეწვევით ლუდზე, ხო კაი, თუ არა და, მოგისმენთ, თან „ნატახტარს“ მოვწრუპავ...**

— დაიჯერებ, რომ ახლა მე თქვენთან მოვდიოდი რედაქციაში? ჩემი ახალგამოცემული ლექსების ორი კრებული თქვენი გაზეთის თანამშრომლებს მინდა ვაჩუქო, რა ხანია ვიცნობთ ერთმანეთს... ბარემ თქვენ გაგატანთ... კი ბატონო, ვისაუბროთ... ჩამოვსხდეთ „სამაიას“ ბაღში... ეეეე... რა დრო გავიდა.... ძირითადად ხომ აქ იყო ჩვენი „საბუდარი“ — „ზემელის“ სიახლოვეს — აქეთ „სამაია“, იქით — „ყაზბეგი“...

**— ამ დღეებში დიდი სამამულო ომის დაწყების 70 წლისთავს როგორ შეხვდით, ბატონო ვასო?**

— ვიღას ახსოვს, გენაცვალე... თითოოროლა თუ მოიგონებს... გაზეთ „ვეტერანს“ ვუშვებდი გიორგი ციციშვილთან ერთად... მორჩა, აღარ გამოდის... ვიღას უნდა... ვითომ, ჩვენ არც გვეცხოვროს, ვითომ, ჩვენ საქართველოს არც ვიცავდით, სხვის ომში მივდიოდით... ჯერ ერთი: ვინ გვეკითხებოდა წასვლა-არწასვლას? ნავთლუღში რომ შეგვყარეს ვაგონებში, სტალინგრადამდე კარი არ გაუღიათ...

**— ეს რომელი წელი იყო, ბატონო ვასო?..**

— 1942... კენისბერგამდე ჩავედი ბრძოლით... კანტის საფლავიც მაშინ ვნახე...

**— მწერლები სხვებიც იყვნენ იმ უბედურებაში, არა?..**

— მაშ... მირზა გელოვანი ხომ ფრონტზე დაეცა... ლადო ასათიანი უკვე დაავადებული იყო ჭლექით, მაინც გაგზავნეს და, წარმოიდგინეთ, რომ რუსებმა „დაბრაკეს“ — ორ კვირაში მობრუნდა უკან... ლადო ჩემთვის განსაკუთრებული თემაა. ოკრიბიდან ოჯახის ქუთაისში გადმოსვლის შემდეგ (მე ოკრიბაში მიდგას ფესვი, იქაური იყო ჩემი გარე ბიძაშვილი რაჟდენ გვეტაძეც) სულ ერთად ვიყავით ლადო, მიქელ პატარიძე, გიორგი ნაფეტვარიძე, ზურაბ ლორთქიფანიძე, სევერიან ისიანი, ნიკა აგიაშვილი... ჩვენი სული და გული იყო დია ჩიანელი — ნიჭიერესი, უგანათლებულესი კაცი, ჩვენი გამოჩენილი კინორეჟისორის რეზო ჩხეიძის მამა... ერთი ეპიზოდი გამახსენდა: 37 წელია, ცოდვის ტირილია, დია ჩიანელიც „ამოულიათ მიზანში“, ერთ დღეს, სუყველას ძალიან გვეფერა სუფრასთან, მოილხინა, თვითონ უკვირდა, რატომ ვარ, ნეტა, დღეს ასეთ ხასიათზეო... ჩავსვით ეტლში, გავაცილეთ, აბა, მაგრად იყავით ბიჭებოო, დაგვიქნია ხელი და წავიდა... წავიდა და წავიდა...

...მომტანმა ორი კათხა ლუდი დადგა მაგიდაზე... არა, გენაცვალე, მე არაო, ბოდიშობს ბატონი ვასო და თხრობას განაგრძობს: — ჰო... ლადოს მამის მექი ასათიანის მთელი ოჯახი ქუთაისში ცხოვრობდა... 1934 წელს გამოვიდა ლადო სამწერლო ასპარეზზე... ქუთაისის საქალაქო გაზეთ „სტალინელში“ ჩვენი ძვირფასი ნიკა აგიაშვილი ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ხელმძღვანელობდა და ძალიან გვპატრონობდა — გაზეთის ყოველი საკვირაო ნომერი სავსე იყო ჩვენი ნაწარმოებებით... ლადოს დედა ჩემი მასწავლებელი იყო... ერთ დღესაც სკოლაში ვიგებთ, რომ იგი დაუჭერიათ, როგორც ხალხის მტერი... ლადოს ბეჭდვა აუკრძალეს, მთელ წელიწადს (37 წელსძ არაფერი დაუბეჭდავს... უმცროსი ძმა გოგიტა, რომელიც ჩემს კლასში იყო, სკოლიდან გარიცხეს... ლადოს მამა — ბატონი მექი სოფელში დაბრუნდა... 1938 წელს კი ლადო თბილისში გადმოვიდა... ჰო... კოლაუ არ დამავიწყდეს, ჩვენი კოლაუ ნადირაძე... იგი თბილისში ცხოვრობდა, მაგრამ ქუთაისის სიყვარული ისე ჰქონდა გულში გამჯდარი, რომ ყოველ კვირაში, რამდენიმე დღეს თავისი ბავშვობის ქალაქში ატარებდა... მალე მეც დავტოვე ქუთაისი და მას შემდეგ, აი, დღემდე თბილისში ვარ...




**— მე თქვენ ჟურნალ „დროშაში“ მახსოვხართ, ბატონო ვასო...**

— კი, ლიტერატურისა და ხელოვნების განყოფილებას ვხელმძღვანელობდი... დღეს სახელგანთქმული ოტია იოსელიანი, შეიძლება ითქვას, ჩვენ გამოვიყვანეთ სამწერლო ასპარეზზე... ჩვენი მთავარი რედაქტორის, ძვირფასი გიორგი ნატროშვილის გულისხმიერებამ გამოიყვანა, თუმცა, პირველი მოთხრობა ჟურნალ „პიონერში“ დაუბეჭდა ოტიას ცხონებულმა მურმან ლებანიძემ... მერე გამომცემლობა „ნაკადულში“ ვმუშაობდი, ყველა წიგნიერმა ქართველმა იცის რა წიგნებს ვბეჭდავდით მაშინ ჩვენი ხუტა ბერულავას ხელმძღვანელობით, მარტო „ჩვენი საუნჯის“ ოცტომეულის გახსენება რად ღირს... ჩვენ გამოვეცით გალაკტიონის „100 ლექსი“ — ხუტა ბერულავამ, ვახტანგ ბეწუკელმა, გიორგი კაჭახიძემ და მე შევარჩიეთ გალაკტიონის მარგალიტებიდან „100 ლექსი“, რომელიც უძვირფასესი საჩუქარი იყო იმხანად პოეზიის მოყვარულებისთვის...

ასე იყო, ჩემო კარგო, ასე იყო...

ბატონი ვასო მაგიდაზე აწყობს ახალგამოცემულ ლექსების კრებულებს — ერთი რჩეულია, რომელიც ორ წიგნად აქვს ჩაფიქრებული პოეტს... მეუბნება: „აქ თითქმის ყველა ლექსი ახალია... ეს კი პოემაა, რომელიც ოფიცერ ჯანდრი უზირიას გმირობას ეძღვნება — ოჩამჩირეში დაბადებულ და გაზრდილ კაცს, აფხაზეთის ომის დროს მტრის ზურგში დაზვერვისას აფეთქებულმა ნაღმა ორივე ფეხი წააგლიჯა და დიდი წვალების შემდეგ თავის ნაწილში დაბრუნება სასწაულად მოახერხა. თავდადება და ამტანობაა საჭირო ყოველგვარ გასაჭირში, რომ საკუთარმა სხეულმა ვერ გაჯობოს — აი, ესაა პოემის მთავარი ღერძი და ძალა... ოფიცერი ჯანდრი უზირია, რომელსაც მალე 50 წელი უსრულდება, ისევ მხნედაა, თუმცა „არც ერთი ფეხი არა აქვს“ და მშობლიური აფხაზეთიდან გამოდევნილია...

აი, ამ წიგნებს შენ გჩუქნი, ჩემო ვილენ... ესენიც, თქვენთან, ვისაც ვახსოვარ, ყველას ჩამოურიგე...

**— ბატონო ვასო, აქვეა ჩვენი რედაქციის ოფისი... წავიდეთ ერთად... გაუხარდებათ თქვენი ნახვა ბიჭებს... თქვენ თვითონ დაურიგეთ, უკეთესია...**

— (მცირე ხანს ყოყმანობსძ მართალი ხარ... წავედით...

...სულ მალე კი დიდი გამოცოცხლება იყო რედაქციაში. ყველა გულითადად ესალმებოდა და შეჰღიმოდა ძია ვასოს — კეთილშობილ კაცს, შესანიშნავ პოეტსა და მამულიშვილს...

**ვილენ მარდალეიშვილი.**

**სურათზე: 1963 წელი — ჟურნალ „დროშის“ სტუმარია კონსტანტინე გამსახურდია, დიდი მწერლის მასპინძლები — მარცხნიდან: გიორგი ნატროშვილი, ვასილ გვეტაძე, ოთარ დემეტრაშვილი, თარხან არჩვაძე, გულნარა ბახტაძე; 90 წლის პოეტის ახალი ლექსების კრებულები...**

**წიგნის წარდგინება**

# „ფრანგებს მაინც შევაყვარებ გოდერძი ჩოხელს!“

## იზა ჯინჯიხაძე - ქართული კულტურის დესპანი საფრანგეთში

**„თიბისი გალერეაში“ იზა ჯინჯიხაძის პოეტური თარგმანების კრებულის პრეზენტაცია გაიმართა, სადაც თავმოყრილია ქართული პროზის ფრანგული ვერსიები. აკი ასე უთქვამს ფილოლოგ ჟან გატუს, როცა თარგმანები წაუკითხავს — ეს თარგმანები კი არა, ქართული ლექსების ჩვენეული ვერსიებია, რადგან კარგად ვგრძნობ, მასში როგორ ფეთქავს და სუნთქავს საქართველო შავი ზღვიდან კავკასიონის ქედამდეო.**

ქალბატონი იზა ჯინჯიხაძე ფრანგული ენის მასწავლებელია, სენტ-ეგზიუპერის სახელობის ფრანგულ-ქართული სკოლის დირექტორი, საფრანგეთის რესპუბლიკის „აკადემიური პალმების“ ორდენის კავალერი. მას საფრანგეთის კულტურული საზოგადოება კარგად იცნობს, როგორც ქართული კულტურის დესპანს, რომელიც საქართველოში ფრანგული ენის პოპულარიზაციას ეწევა.

წიგნში შესულია როგორც კლასიკოსების, ისე თანამედროვე პოეტების ლექსების თარგმანი. 800-ზე მეტი პოეტი ერთ პატარა ქვეყანაში. განა შეიძლება საქართველოს პოეტური ხმა არ მისწვდეს მსოფლიოს, უპირველესად — ევროპას, რომელმაც დიდი ხანია ქართველთა ევროპული იდენტურობა აღიარა, — ასეთი იყო საღამოს ოფიციალური ნაწილის პათოსი.

უცნაურია, მაგრამ ფრანკოფონი თარგმანის განწყობაზე 2008 წლის 8 აგვისტოს ომით გამოწვეულ სტრესს დაუყენებია. „სტრესიდან გამოსვლის ჩემეული მეთოდიკა მაქვს, — ამბობს ის, — ვიწყებ გადაწერას დაღლამდე. სწორედ ასე გადავწერე ჯემალ ქარჩხაძის „იგი“. მივხვდი, რომ ეს რაღაც გამორჩეული ნაწარმოები იყო. ვიფიქრე, როგორ მიმეწოდებინა ის ჩემი ფრანგი მეგობრებისთვის და გამეზიარებინა მათთვის. დავიწყე თარგმნა... ამას მოჰყვა ნიკო ლორთქიფანიძის, გოდერძი ჩოხელის თარგმანები, მერე პოეზიაზე გადავედი: აკაკი, ილია, ბარათაშვილი, ლადო ასათიანი, გალაკტიონი, მორის ფოცხიშვილი, ნანა ღვინეფაძე, ლია სტურუა, ახალგაზრდა პოეტები: ქეთი შენგელია, თამარ ლომიძე, თინათინ მღვდლიაშვილი და სხვები. პარიზში როცა ჩავიტანე, მაინცდამაინც პროზა არ მოეწონათ, აი, პოეზიაზე კი მითხრეს — კარგიაო. 2009 წლის დეკემბერში ჩემი თარგმანების ქართული პოეზიის საღამო გამიმართეს... მაგრამ მე მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენ არაჩვეულებრივი ქართული მინიატიურები გვაქვს, ბრწყინვალე ნოველისტები გვყავს, ამიტომ, რაც უნდა იყოს, მაინც შევაყვარებ ფრანგებს გოდერძი ჩოხელს, ნიკო ლორთქიფანიძეს“...

როგორც საღამოზე პოეტმა ლია სტურუამ აღნიშნა: „ქართული ცეკვა, ხელოვნება, მუსიკა გასულია საზღვრებს გარეთ, მაგრამ მწერლობა — ეს ენობრივ ბარიერს ეხება, ამიტომ მისი კარგად თარგმნა უფრო ხელშესახებს ხდის ორი ქვეყნის კულტურას. გალაკტიონში დიდი აზრია, მაგრამ კიდევ უფრო საოცარია მისი ჟღერადობა. თარგმანისას ამის შენარჩუნება რთულია, რასაც კარგად ახერხებს ქალბატონი იზა. ამიტომაც მიიღო ფრანგმა მკითხველმა ის ასეთი სიყვარულით“.

ბუნებრივია, საღამომ ოვაციებით, ყვავილებით, მილოცვებით ჩაიარა, მაგრამ იქ ითქვა მთავარი — იზა ჯინჯიხაძე ქართულ სულს აცნობს ევროპას, რაც ასე ნაკლებად ხდება, თორემ ფრანგული თუ სხვა დასავლური კულტურის ნიმუშები უხვად გვაქვს ნათარგმნი ქართულად. ჩვენ მათ კარგად ვიცნობთ, ისინი კი პირიქით — ნაკლებად გვიცნობენ...

**ნია ფიფია**

რას წერენ, რას ამბობენ ჩვენზე

# სამცხე-ჯავახეთი – მორიგი ნაბიჯი მითოლოგიური „დიდი სომხეთისკენ“

**საქართველოში სომხეთის სამოციქულო ეკლესიისთვის სტატუსის მინიჭების საკითხი საჭიროდაო ქვად იქცა ყველა სომეხთა კათოლიკოსის გარეგინ მეორის საქართველოში ისტორიული ვიზიტის დროს. კათოლიკოსის ვიზიტამდე საქართველოს სომხები გამოხატავდნენ იმედს, რომ გარეგინ მეორე შეძლებს, მიაღწიოს შეთანხმებას სომხური ეპარქიის სტატუსის მიღწევაში, აგრეთვე დაუბრუნოს სომხეთის ეპარქიას ექვსი ეკლესია, რომლებსაც სომხეთის მხარე თავისას უწოდებს, ქართულმა მხარემ კი ისინი სადავოდ გამოაცხადა.**

ვიზიტი ექვსი დღე გაგრძელდა, რომლის დროსაც ცხადი გახდა – გარეგინ მეორის მისია ჩაიშალა, ქართულმა მხარემ კი ფაქტიკურად აცნობა, რომ სომხების პრეტენზიები უნიადაგოა.

სომხების ყველაზე დიდი აღშფოთება გამოიწვია იმან, რომ სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქმა ილია მეორემ თბილისში წმინდა სამების საკათედრო ტაძარში საკვირაო ქადაგების დროს განაცხადა: „გარეგინ მეორე ახალგაზრდა კაცია და, ალბათ, მას მეტი გამოცდილება სჭირდება. ის ჭკვიანია, მაგრამ სურს ყველაფრის სწრაფად გაკეთება, რაც არ გამოდის“. სომხეთის მასობრივი ინფორმაციის საშუალებებმა ისეთი მრისხანე გამონათქვამები გამოიყენეს თავიანთი მეზობლების მისამართით, რომ გაუთვითცნობიერებელ მეთვალყურეს შეიძლება შეექმნას საქართველოში მცხოვრებ ყველა სომეხზე თავდასხმის შეგრძნება და, კერძოდ, გარეგინ მეორეზე მისი ვიზიტის დროს.

მაგრამ ჭეშმარიტება ის არის, რომ სომხებს სჭირდებათ სხვების ტერიტორიის კიდევ ერთი ნაწილი, და სხვების მიწებისთვის ბრძოლაში მათთვის ყველა საშუალება კარგია, მათ შორის რელიგიური საკითხიც ხურდა ფულად იქცევა ამ რთულ მრავალსვლიან პარტიაში, რომლის პრიზიც უნდა გახდეს მითოლოგიური „დიდი სომხეთი“.

სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიებზე „ისტორიული სამშობლოს“ მარადიული სომხური საკითხი მწვავედ დადგა მთელი სომხობისთვის საქართველოს ტერიტორიაზე საბჭოთა კავშირის დაშლის უმალვე. 20 წელია ქართული რეგიონი სამცხე-ჯავახეთი, თავის საუბედუროდ დასახლებული უმთავრესად სომხებით, მოსვენებას არ აძლევს ერევანს.

უკვე არაერთგზის გაჟღერდა სომხეთის ბრალდება იმასთან დაკავშირებით, რომ სომხური მოსახლეობა, რომელიც სამცხე-ჯავახეთის რეგიონში ცხოვრობს, შევიწროებულია საქართველოს ხელისუფლების მხრიდან, და გადაკვრით ნათქვამები იმაზე, რომ არ იქნებოდა ურიგო მიეღოთ მაქსიმალური დამოუკიდებლობა ცენტრისგან, ესე იგი უშუალოდ თბილისისგან. ყველგან არსებულმა სომხურმა დიასპორამ არაერთხელ დასდო ბრალი საქართველოს ყველა უბედურებაში, რომლებიც განხორციელდა „მრავალტანჯული“ სომხების მიმართ, იმათ მიმართ, ვინც საქართველოს რეგიონში ცხოვრობს, რომელიც, სომხების აზრით, სინამდვილეში არ არის ქართული ტერიტორია, პირიქითაც კია.

ასეთი ვითარების დროს, რასაკვირველია, ყველაზე მცირე, რისი გაკეთებაც შეუძლია საქართველოს ხელისუფლებას, მსოფლიო სომხობის აზრით, ეს არის – მიენიჭოს სამცხე-ჯავახეთს ავტონომიის სტატუსი და ამ რეგიონში მეორე სახელმწიფო ენად გამოაცხადოს – სომხური, რასაკვირველია.

მე, როგორც აზერბაიჯანის წარმომადგენელს, მინდოდა დამეცვა თბილისი მოვლენათა განვითარების ასეთი სცენარისგან, ვინაიდან ოფიციალურმა ბაქომ კარგად იცის სომხეთის თავისებურება – არ დაკმაყოფილდეს მცირედით.

სამცხე-ჯავახეთი სასწაულებრივ გადაურჩა მთიანი ყარაბახის ბედს. 1985 წელს, როდესაც მსოფლიო სსრ კავშირის დაშლის მოლოდინში იყო, მსოფლიო სომხობის წარმომადგენლებმა, რომლებიც შეიკრიბნენ ათენში პარტია „დაშნაკცუტიუნის“ 23-ე ყრილობაზე, დააყენეს საკითხი სომხეთის საზღვრების გაფართოების შესახებ ამა თუ იმ მიმართულებით.

მაშინ მცირედი უპირატესობით შეკრებილებმა ხმა მისცეს აზერბაიჯანის და არა საქართველოს ტერიტორიების დაპყრობას. სომხებითაც დასახლებული მთიანი ყარაბახი, რომელიც აზერბაიჯანის ავტონომია იყო, გახდა პირველი ნაბიჯი სომხობის მითიური „დიდი სომხეთის“ აღდგენისკენ. ამაში იყო თავისი ლოგიკა, ვინაიდან მთიანი ყარაბახი იყო ავტონომიური ოლქი, საქართველოს სომხებით დასახლებული სამცხე-ჯავახეთისგან განსხვავებით.

მაგრამ იმ ტერიტორიის არსებობა, რომელიც დასახლებულია სომხებით, და თანაც სომხეთის საზღვართან უშუალო სიახლოვეს, არ აძლევს ერევანს და სომხობის ყველა წარმომადგენელს მშვიდად ძილის უფლებას. და მთავარი ამჟამად სომხეთისთვის – ეს არის მიაღწიოს სამცხე-ჯავახეთის მაქსიმალურ გამოყოფას საქართველოსგან და საქართველოს ხელისუფლებისგან.

სომხების წარმოდგენაში, ავტონომია – ეს არის სომხებით დასახლებული სხვა ქვეყნების რეგიონების „ამპუტაციის“ სწორი და წარმატებული დასაწყისი.

ყველა ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, უნდა ვაღიაროთ, რომ საქართველოსთვის არსებობს ქვეყნის სამხრეთში წარმოქმნილი პრობლემების დიდი რისკი. ამისთვის იბრძოლებს არა მხოლოდ სომხური დიასპორა, არამედ ზოგიერთი გარე მოთამაშეც, რომლისთვისაც ხელსაყრელია სიტუაციის დესტაბილიზაცია ქვეყანაში.

TREND

---

# გადატრიალება ქართულად

**საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ განაცხადა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის თავიდან აცილების შესახებ, რომელსაც თითქოსდა ამზადებდა ოპოზიციის ერთ-ერთი ლიდერი – თავდაცვის ექს-მინისტრი ირაკლი ოქრუაშვილი. როგორც ხელისუფლება ამტკიცებს, მაისის ბოლოს სამხრეთ ოსეთში დისლოცირებული რუსი სამხედროების მხარდაჭერით, ყოფილი მინისტრი აპირებდა საქართველოში შემოჭრას. ოპოზიცია ამ ბრალდებას ბოდვას უწოდებს. ექსპერტები კი ელოდებიან საფრანგეთის რეაქციას, რომელმაც ბატონ ოქრუაშვილს პოლიტიკური თავშესაფარი მისცა.**

23 ივნისს სპეციალურ ბრიფინგზე, რომლის ტრანსლირებაც ხდებოდა ყველა ეროვნული ტელეარხით, შინაგან საქმეთა სამინისტროს კონტრდაზვერვის დეპარტამენტის წარმომადგენელმა განაცხადა უკანონო შეიარაღებული ფორმირებების 8 წევრის დაპატიმრების შესახებ, რომელთა ნაწილიც „დაკავშირებულია ქართულ პარტიასთან“. საკითხი შეეხება ირაკლი ოქრუაშვილის თავდაცვის მინისტრად ყოფნისდროინდელ ყოფილ ხელქვეითებს. როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელმა დაგვარწმუნა, დაკავებულებმა აღიარეს, რომ ექსმინისტრის ხელმძღვანელობით ემზადებოდნენ საქართველოში შემოჭრისთვის. მათი გამონათქვამებიდან ჩანს, რომ აპრილის ბოლოს ისინი რუსეთის სპეცსამსახურების თანამშრომლების დახმარებით, რომლებიც იმყოფებოდნენ სამხრეთ ოსეთში, ჩავიდნენ ვლადიკავკაზში, სადაც შეხვდნენ ირაკლი ოქრუაშვილს და მიიღეს მისგან მოქმედებათა დეტალური გეგმა. ექსმინისტრი, თითქოსდა იმყოფებოდა უშიშროების ფედერალური სამსახურის რამდენიმე თანამშრომლის საზოგადოებაში.

გადმოცემული ვერსიის თანახმად, ოპერაციის პირველი ფაზა იყო ინფორმაციის შეგროვება საქართველოს პოლიციის პოსტების შესახებ, რომლებიც განთავსებულია სამხრეთი ოსეთის საზღვართან. ირაკლი ოქრუაშვილი, თითქოსდა, დაჰპირდა, რომ ყველა მონაცემების მიღების შემდეგ ის ჩავა ცხინვალში და მთავარი დაზვერვის სამმართველოს სპეციალური დაზვერვის ორ ასეულთან ერთად შეიჭრება საქართველოში, განაიარაღებს ქართველ პოლიციელებს, ხელში ჩაიგდებს გორში შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეცდანიშნულების ნაწილებს და დაიძრება თბილისისკენ.




იქსის დღედ დანიშნეს 23 მაისი, როდესაც საპროტესტო მიტინგები თბილისში დიდი ძალით მიმდინარეობდა. იმ დღეებში ირაკლი ოქრუაშვილი მართლაც გვპირდებოდა ტელეკომპანია „მაესტროს“ ეთერით, რომ 25 მაისს „აუცილებლად დაბრუნდება სამშობლოში, რათა სათავეში ჩაუდგეს სახალხო აჯანყებას და ბოლო მოუღოს სააკაშვილის რეჟიმს“. მისი მომხრეები კი აჩვენებდნენ გერმანული ავიაკომპანიის ერთ-ერთ რეისზე შეძენილ ავიაბილეთის ქსეროასლს.

როგორც საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროში გვარწმუნებენ, შემოჭრის გეგმა ვერ განხორციელდა მხოლოდ ქართული კონტრდაზვერვის გონივრული მუშაობის წყალობით. სისხლის სამართლის საქმე კი ჯერ აღძრულია არა სახელმწიფო გადატრიალების მცდელობის ბრალდებით, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის 223-ე პუნქტით („უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა“ძ.

„ქართული პარტიის“ ხელმძღვანელობაში შინაგან საქმეთა სამინისტროს მტკიცებას „სრულ აბსურდს“ უწოდებენ. „აშკარად დადგა ძალიან ცუდი დრო „საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კინოსტუდიისთვის“, – განაცხადა ჩვენთან საუბარში ქართული პარტიის ერთ-ერთმა ლიდერმა ეროსი კიწმარიშვილმა, – ეს ყველაფერი, უბრალოდ, კომიკურია. ჩვენ ვაპირებდით მოგვეწყო პასუხად ბრიფინგი, მაგრამ უარი ვთქვით ამ იდეაზე, ვინაიდან ყველასთვის ცხადია ბრალდების აბსურდულობა“. ეროსი კიწმარიშვილმა დაგვარწმუნა, რომ „ირაკლი ოქრუაშვილი 2005 წლიდან ერთხელაც არ ყოფილა რუსეთის ტერიტორიაზე“.

ამ დროს ადგილობრივი ექსპერტები მიიჩნევენ, რომ, ვინაიდან ირაკლი ოქრუაშვილმა მიიღო საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი, ამ ქვეყნის ხელისუფლება იძულებული იქნება, მოახდინოს რეაგირება სკანდალზე. „პარიზი, უბრალოდ, ვალდებულია გააკეთოს ეს. საქართველოს ხელისუფლებამ ხომ ბრალდება წამოაყენა შეთქმულებასთან დაკავშირებით, დაამხოს ხელისუფლება იმ კაცის წინააღმდეგ, რომელმაც საფრანგეთში პოლიტიკური თავშესაფარი მიიღო, – განაცხადა ჩვენთან საუბარში დამოუკიდებელმა ექსპერტმა დავით ავალიშვილმა. – თუ თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა მართლაც დატოვა საფრანგეთის ტერიტორია და ჩამოვიდა რუსეთში, ამას საფრანგეთის სპეცსამსახურები მალე დაადგენენ. ამრიგად, პარიზი ან დაადასტურებს ან უარყოფს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს განცხადებას“.

Коммерсантъ

---

## დედამიწის ზურგზე



**კიევში დაიწყო ტიმოშენკოს სასამართლო: შენობასთან ჩხუბი გაჩაღდა, ექსპრემიერმა კი მოსამართლეს შეუტია**

საქმე, რომელსაც კიევის პეჩორსკის რაიონული სასამართლო განიხილავს, ეხება 2009 წელს ხელმოწერილ კონტრაქტებს რუსული გაზის მიწოდების შესახებ. იულია ტიმოშენკოს ბრალი ედება სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტებაში, რის შედეგადაც უკრაინას თავს მოახვიეს არახელსაყრელი პირობები. თავად ტიმოშენკო საქმეს პოლიტიკურად მიიჩნევს და მოითხოვს მოსამართლის შეცვლას.

* * *

**კადაფი მზად არის წავიდეს ლიბიიდან და დასახლდეს თავისი ფულით ლუკაშენკოსთან, განაცხადა დევნილმა დიპლომატმა**



ლიბიის პრეზიდენტი აპირებს ქვეყნიდან წასვლას მაქსიმუმ 2-3 კვირის შემდეგ, ამტკიცებს ლიბიის საგარეო საქმეთა სამინისტროს ექსუფროსი აბურახმან მოჰამედ შელგამი, რომელიც ოპოზიციის მხარეს გადავიდა.

კადაფი აწარმოებს მოლაპარაკებას მეგობრულ ქვეყნებთან, რომელთა შორისაც არის ბელარუსი, რათა თავი აარიდოს საერთაშორისო სასამართლოს პროცესს და დატოვოს ლიბია თავისი მილიარდების შენარჩუნებით.

* * *

**ამერიკული უპილოტო თვითმფრინავი დაეცა „ფუკუსიმა-1“-ის რეაქტორს**



მეორე ენერგობლოკის შენობის სახურავის დაზიანების შესახებ ჯერჯერობით ცნობილი არ არის. მაგრამ თვითმფრინავის დაცემის შემდეგ კვამლი და ცეცხლი არ ყოფილა. თვითმფრინავს იყენებდნენ საჰაერო დაზვერვისთვის და რადიაციის გაზომვისთვის. რადიაციასთან ბრძოლაში, როგორც იქნა, ჩაება იაპონური რობოტი.

* * *

**ამაზონკის ჯუნგლებში დაინახეს თანამგზავრიდან და გადაიღეს ინდიელთა უცნობი ტომი**

ბრაზილიის ხელისუფლებამ ოფიციალურად დაადასტურა, რომ ტყეებში აღმოჩნდა დღემდე უცნობი ტომი. ინდიელები სოფლის მეურნეობას მისდევენ და კონტაქტებს არ ამყარებენ ცივილიზაციასთან. მათს ცხოვრებაში რომ არ ჩარეულიყვნენ, მკვლევარებმა უცხოტომელები თვითმფრინავიდან გადაიღეს.



ქვეყნები და ადამიანები

# ჩაწვდით ამერიკის სულს!

***რამდენიმე წლის წინათ, თბილისის ქუჩებში, დიდ ბანერებზე, გამოსახული იყო ცხენზე ამხედრებული კოვბოი წარწერა-მოწოდებით: „ჩაწვდით ამერიკის სულს“. ამერიკელთა სულს ოდენ კოვბოების, განგსტერების, ოქროს მაძიებელთა და ა.შ. ცხოვრების წესის გაცნობით ვერ ჩავწვდებით. ამისათვის საჭიროა აშშ-ს ისტორიის, მისი მატერიალური და სულიერი კულტურის ფართო სპექტრის ობიექტური თვალთახედვით, სხვადასხვა იდეოლოგიური ჩარჩოებისაგან (ჩვენში უპირველესად მარქსისტულ-ლენინური იდეოლოგიისაგან) დამოუკიდებლად შესწავლა.***

***აშშ-ის ისტორიიდან ქვემოთ მოყვანილი ფაქტები აღნიშნული პრობლემის მოგვარების მოკრძალებულ ცდას წარმოადგენს.***

## პრეზიდენტს არ „ელაქუცებიან“

**ამერიკის შეერთებული შტატების კონსტიტუცია შეიქმნა 1787 წელს. იგი ძალაში შევიდა 1789 წელს, როდესაც ჯორჯ ვაშინგტონი პირველ პრეზიდენტად აირჩიეს.**

აშშ-ის დამაარსებლები ითვალისწინებდნენ იმ ფაქტს, რომ ცხოვრებისეული პრაქტიკა ზოგიერთ კონსტიტუციურ კანონს ანაქრონიზმად აქცევდა და ამიტომ საჭირო გახდებოდა მათი შეცვლა. მაგრამ, ამავე დროს, ისინი კარგად აცნობიერებდნენ იმასაც, რომ ეს პროცესი არც რთული და არც ზედმეტად გამარტივებული არ უნდა ყოფილიყო. აშშ-ის კონსტიტუციაში ცვლილების შეტანა არ შეიძლება ხმების უბრალო უმრავლესობით. ამისათვის საჭიროა კონგრესის 2/3 და შტატების 3/4-ს თანხმობა.

არსებობის 200-ზე მეტი წლის განმავლობაში აშშ-ს კონსტიტუციაში სულ 30-მდე შესწორება შეიტანეს.

აშშ-ის კონსტიტუციაში შესწორების შეტანა სცადეს 1989 წელს, უმაღლესი სასამართლოს დადგენილების შემდეგ. ამ დადგენილების თანახმად საჭირო იყო კონსტიტუციის პირველი შესწორების კორექტირება, რადგანაც იგი იცავდა იმ პირებს, რომლებიც პროტესტის ნიშნად აშშ-ის დროშას წვავდნენ.

პრეზიდენტმა ბუშმა (უფროსმა) განაცხადა, რომ დროშის შეურაცხყოფა, როგორც პროტესტის გამოხატულების ფორმა მიუღებელია და სთხოვა კონგრესს სათანადო ცვლილებები შეეტანა კონსტიტუციაში, მისი თხოვნა არ დააკმაყოფილეს, რადგანაც აშშ-ის კონსტიტუციის პირველ შესწორებაში, რომელიც რატიფიცირებული იქნა 1791 წლის 15 დეკემბერს, ნათქვამია: კონგრესმა არ უნდა მიიღოს ისეთი კანონები, რომლებიც კრძალავენ რწმენის, სიტყვის, პრესის, პეტიციების წარდგენის უფლებებს.

როგორც ვხედავთ, „ოკოლოჩნიკის ეპოლეტების“ მიღებისათვის, ამერიკელები პრეზიდენტს არ „ელაქუცებიან“.

## მატყუარა პრეზიდენტი ხალხს არ უნდა

**აშშ-ის სენატს აქვს იმპიჩმენტის – თანამდებობრივი დანაშაულის გამო პრეზიდენტის სასამართლოზე გადაცემის (რომელსაც შეიძლება მოჰყვეს პრეზიდენტის პოსტიდან გადაყენება) უფლება. ბენჟამენ ფრანკლინი ამბობდა, რომ იმპიჩმენტის გარეშე დამნაშავე პრეზიდენტის პოსტიდან გადასაყენებლად ერთადერთი საშაულება რჩება – მისი მოკვლა.**

აშშ-ის ისტორიაში იმპიჩმენტის გამოყენების სულ ორი შემთხვევა იყო: პირველი – 1865 წელს ენდრიუ ჯონსონის წინააღმდეგ, როდესაც პრეზიდენტმა სენატის ერთი ხმის წყალობით შეინარჩუნა ძალაუფლება. მეორე – 1972 წელს როდესაც რიჩარდ ნიქსონი იძულებული გახდა პრეზიდენტის პოსტიდან გადამდგარიყო.

ნიქსონის გადაყენებასთან დაკავშირებით ნოე ჟორდანიას შვილს რეჯებ ჟორდანიას (იგი აშშ-ში ცხოვრობს), რამდენიმე წლის უკან, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში შეხვედრისას, დაუსვეს კითხვა, რომელსაც მან ასე უპასუხა: ნიქსონი ხალხის ნდობით სარგებლობდა, მას კარგ პრეზიდენტად მიიჩნევდნენ და, ალბათ, რომ არა ის საბედისწერო შეცდომა, რომელიც მან დაუშვა, როდესაც თავის გამართლების მიზნით სპეციალური კომისიის შექმნა და საქმის გამოძიება მოითხოვა, იგი პრეზიდენტის თანამდებობის შეინარჩუნებდაო. მას ეგონა, რომ მისი მოთხოვნით შექმნილი კომისიის წევრები, ისევე, როგორც ბევრ სხვა ქვეყანაში, მისთვის სასურველ გადაწყვეტილებას მიიღებდნენ, მაგრამ არა! კომისიამ ტყუილში ამხილა პრეზიდენტი და იგი იძულებული გახდა გადამდგარიყო.

ამერიკელმა ხალხმა არ ისურვა მატყუარა პრეზიდენტი.

## ყველამ თავისი საქმე აკეთოს

**პოლიტიკური პროცესებისგან ჩამოცილების მიზნით, ზოგი შეუგნებლადაც, ხალხს მოუწოდებს: ყველამ თავისი საქმე უნდა აკეთოს, ცხვირს ნუ ჰყოფთ პოლიტიკაში და ა.შ. ხშირად იშველიებენ მაგალითებს აშშ ხალხის ცხოვრებიდან – ამერიკის უბრალო მოქალაქეს არ აინტერესებს რას აკეთებს მისი პრეზიდენტი, სად არის, ვის ხვდება იგი, ან რა ხელშეკრულებებს აწერს ხელსო და ა.შ. ეს არის სრული სიცრუე.**

ამერიკის მოსახლეობა აქტიურად ერთვება პოლიტიკაში, საარჩევნო პროცესებში მაშინ, როდესაც ეს საჭიროა. აშშ-ში, საპრეზიდენტო არჩევნების დროს, პრეზიდენტობის კანდიდატს, მისი ოჯახური თუ ფიზიკური, მორალური, ინტელექტუალური მდგომარეობის უკეთ გაცნობის მიზნით, შეიძლება ითქვას, რენდგენის სხივებით აშუქებენ. აშშ-ის პრეზიდენტის წინააღმდეგ იმპიჩმენტის პროცესის დაწყება მოჰყვა. ამერიკელს თქვენ ვერ გააკვირვებთ „ლევი“ სქესობრივი ურთიერთობებით, მაგრამ პრეზიდენტის მიმართ მათ სულ სხვა მოთხოვნები აქვთ და სრულიად სამართლიანადაც. ამერიკელი ასე ფიქრობს: თუ პრეზიდენტი (ან




პრეზიდენტობის კანდიდატი) თავის მეუღლეს და ოჯახს უღალატებს ე.ი. ამ კაცში ღალატისკენ, ტყუილისკენ, მიდრეკილება ზის. ამიტომ, მას შეუძლია ასევე, მომატყუოს მე, რიგითი ამერიკელი, ჩემი ხალხის ზურგს უკან დადოს საიდუმლო სამსახურის განცხადებით, სანამ ჯ. კენედის პრეზიდენტად აირჩევდნენ, მანამდე ხუთასი მასთან დაახლოებული პირი (სკოლისა და სტუდენტობის პერიოდის ამხანაგები, მეზობლები, ნათესავები, სამსახურის თანამშრომლები და ა.შ.) ანონიმურად გამოკითხეს; არჩევნებში მისმა მოწინააღმდეგე რესპუბლიკელებმა ხმა გაავრცელეს – მეორე მსოფლიო ომში ჯ. კენედი ხერხემალში დაჭრეს, გადაადგილება ახლაც უჭირს და ამიტომ ფიზიკურად ვერ შეძლებს პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებასო. ჯ. კენედი იძულებული გახდა სპეციალური კომისიის მიერ გაცემული ჯანმრთელობის დამადასტურებელი ცნობა წარედგინა. ბევრ თქვენგანს ახსოვს პრეზიდენტ კლინტონსა და მის თანამშრომელ ქალს – მონიკა ლევინსკას შორის ინტიმური ურთიერთობის შესახებ აგორებული სკანდალი, რომელსაც კინაღამ სხვა სახელმწიფოსთან ქვეყნის ინტერესების საწინააღმდეგო ხელშეკრულებები ან ჩაიდინოს სხვა, კონსტიტუციის მოთხოვნების საწინააღმდეგო ქმედებები. ბუნებრივია, ასეთი მონაცემების მქონე პირი არ უნდა იყოს ქვეყნის სათავეში.

აი, ამგვარ წნეხში, ქურაში, ცხრილში გატარების შემდეგ ამერიკელი ირჩევს თავისი ქვეყნის პრეზიდენტს და ამის შემდეგ იგი მართლაც, ისე აქტიურად არ ერევა ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში, როგორც ეს სხვა ქვეყნებში ხდება. ასე ჩატარებული არჩევნების შემდეგ, ამერიკელი დარწმუნებულია იმაში, რომ მისი პრეზიდენტი ერთგულად და სათანადოდ დაიცავს ქვეყნისა და ხალხის ინტერესებს, არ გაფლანგავს სახელმწიფო ბიუჯეტს, დაიცავს კანონის უზენაესობას, ერთნაირად დასჯის ყველა დამნაშავეს (1973 წელს ვიცე-პრეზიდენტი სპირო აგნიუ იძულებული გახდა თანამდებობიდან გადამდგარიყო, როცა იგი გადასახადის დამალვაში ამხილეს) და ა.შ.

## წლებს რა მნიშვნელობა აქვს

**1971 წლამდე, 21 წლის აშშ-ის მოქალაქეს არჩევნებში მონაწილეობის უფლება ექლეოდა. ამ ფაქტს საბჭოთა პროპაგანდა აქტიურად იყენებდა სსრ კავშირში არსებული საარჩევნო კანონის უპირატესობის დასამტკიცებლად (რომლის მიხედვითაც არჩევნებში მონაწილეობა შეეძლოთ 18 წლის ახალგაზრდებს).**

ამერიკელთა მოსაზრებით, 18 წლის ახალგაზრდას არ ჰქონდა დამოუკიდებელი მსოფლმხედველობა, სათანადოდ ვერ ერკვეოდა ქვეყნის სოციალურ-პოლიტიკურ და ეკონომიკურ პრობლემებში. ამიტომ, მას შეეძლო არჩევნებში ხმა მიეცა ამა თუ იმ კანდიდატისათვის არა საკუთარი ნების, არამედ მშობლების, ახლობლების და ა.შ. გავლენით რაც საბოლოოდ, უარყოფით გავლენას იქონიებდა შედეგებზე. 1971 წელს აშშ-ის კონსტიტუციაში შეიტანეს 26-ე შესწორება. არჩევნებში მონაწილეობისათვის ასაკობრივი ცენზი 18 წელი გახადეს. რატომ? გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან, მთელ რიგ ქვეყნებში, მათ შორის აშშ-ის ახალგაზრდები (ხუნვეიბინები, ძაოფანები, ჰიპები, პანკები და ა.შ.) აქტიურად ერთვებიან ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებაში. მათი საპროტესტო გამოსვლები სტიქიური, არამართვადი რომ არ გამხდარიყო, აუცილებელი გახდა ისინი ქვეყნის პოლიტიკურ პროცესებში კანონიერად ჩაერთოთ. აი ამიტომ, 18 წლიდან ახალგაზრდებს მისცეს არჩევნებში მონაწილეობისა და პარტიულ-პოლიტიკური საქმიანობის უფლება.

იმ ქვეყნებში კი სადაც, არადემოკრატიული არჩევნები ტარდება, რა მნიშვნელობა აქვს 18 წლის ახალგაზრდას ექნება ხმის მიცემის უფლება თუ თხუთმეტისას.

## ჩემი წლები ჩემი სიმდიდრეა

**1987 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო კანონი ხანდაზმულობის გამო სამუშაოზე დისკრიმინაციის შესახებ, რომელიც კრძალავს პენსიაზე ძალდატანებით გაშვებას, თუ პიროვნებას შეუძლია იმ სამუშაოს შესრულება, რომელიც მას აკისრია.**

## მატერიალურად გაჭირვებული ადამიანი არ არის თავისუფალი ადამიანი

**პრეზიდენტმა რუზველტმა, 1944 წელს, გამოსცა ბილი ეკონომიკური უფლებების დაცვის შესახებ. მასში ნათქვამია: „ჩვენ უნდა ვაღიაროთ, რომ პიროვნების ნამდვილი თავისუფლება არ შეიძლება არსებობდეს ეკონომიკური უზრუნველყოფისა და დამოუკიდებლობის გარეშე. მატერიალურად გაჭირვებული ადამიანი, არ არის თავისუფალი ადამიანი“.**

## მეც კაცი ვარ

**არჩევნების დროს, ამერიკელები ირჩევენ არა მარტო კონგრესმენებს, სენატორებს, გუბერნატორებსა და პრეზიდენტებს, არამედ იმავდროულად მონაწილეობენ ამა თუ იმ კანონპროექტის ბედის განსაზღვრაში.**

ამომრჩეველთა უმრავლესობა თუ მათ მოიწონებს, კანონპროექტი კანონად იქცევა. ამგვარი სახალხო გამოკითხვა პრაქტიკაში დაინერგა 100 წელზე მეტი ხნის წინათ და იქცა თანამედროვე ამერიკული დემოკრატიის დამახასიათებელ ნიშნად.

გამოკითხვის ამ წესის შემოღებით, აშშ-ის მოქალაქე გვეუბნება: მეც კაცი ვარ, ჩემი აზრიც გაითვალისწინე ქვეყნისა და ხალხისათვის ისტორიული მნიშვნელობის მქონე გადაწყვეტილებების მიღებისას!

**ვაჟა თვალავაძე**

ინფორმაცია

## ალავერდში ხევის გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო

ახმეტის რაიონის სოფელ ალავერდში მდინარე შავკაბას ხევის გაწმენდითი სამუშაოები დაიწყო. ამის შესახებ კახეთის საინფორმაციო ცენტრს ახმეტის მუნიციპალიტეტის გამგებელმა კობა მაისურაძემ განუცხადა.

მისი თქმით, გაწმენდითი სამუშაოები მონასტრის კუთვნილი საფუტკრე მეურნეობის ტერიტორიაზე მიმდინარეობს, რომელიც სტიქიის შედეგად განადგურდა.

– ამჟამად დატბორილ ადგილებს ვხსნით, რომ წყლის დონე დავწიოთ. ჩვენ დიდ პროექტზე ვმუშაობთ. მდინარე შავკაბას ხევი მთლიანად უნდა მოვაცილოთ ალავერდის ტაძარს, კალაპოტი უნდა შევუცვალოთ. ალავერდიდან კილომეტრის მანძილზე ხევზე გაკეთდება დამცავი ჯებირები და შავკაბას ხევს მდინარე ალაზანში ჩავუშვებთ, – განაცხადა გამგებელმა.

ალავერდის ტაძარში მე-13 საუკუნის ფრესკებს განადგურება ემუქრება. ტაძარში რამდენიმე ადგილზე წყალი დგას. წყლით არის დაფარული ღირსი მამის, იოსებ ალავერდელის საფლავის მიმდებარე ტერიტორიაც. დანესტილი და დაობებულია კედლები. სპეციალისტების შეფასებით, წვიმების შემთხვევაში ტაძრის და სამონასტრო კომპლექსის დატბორვა ისევ მოსალოდნელია. მათივე თქმით, საფრთხე ტაძრის მდგრადობასაც ემუქრება.

ჯი-ეიჩ-ენი

კრივი

# ბრინჯაოს ხანა



**უკვე გაუწყეთ, რომ ქართველმა მოკრივეებმა (მთავარი მწვრთნელი რამაზ ფალიანი) პირნათლად შეასრულეს თურქეთში გამგზავრებამდე დადებული პირობა და ნახევარფინალში გასვლით ვადამდე გაინაღდეს ევროპის ჩემპიონატის ბრინჯაოს მედლები.**

ზაალ კვაჭატაძეს (69 კგ), ჯაბა ხოსიტაშვილსა (75 კგ) და მიხეილ ბახტაძეს (მძიმე წონა) ცდა არ დაუკლიათ შედეგის გასაუმჯობესებლად, მაგრამ ანკარის რინგზე გამართული ბრძოლები, შესაბამისად, ფრედ ევანსთან (უელსი), ადემ კილიჩისთან (თურქეთი) და მაგომედ ომაროვთან (რუსეთი) დათმეს.

შეგახსენებთ, რომ 2011 წლის ლონდონის ოლიმპიადის ლიცენზიები შემოდგომაზე მსოფლიოს ჩემპიონატზე გათამაშდება. ვიმედოვნებთ, „ჯვაროსნები“ არც მაშინ გაგვაწბილებენ.

**როსტომ რაჭველიშვილი**

ჩოგბურთი

# ღირსება შეინარჩუნა

**მართალია, საქართველოს პირველი ჩოგანი ანა ტატიშვილი უიმბლდონის პრესტიჟულ ტურნირს მეორე წრიდან გამოეთიშა, მაგრამ მასზე აუგის სათქმელად კაცს ენა არ მოგიბრუნდება.**



ჩვენი 21 წლის თანამემამულე ლონდონის კორტზე გასვლამდე ქალთა საერთაშორისო რეიტინგში 118-ე პოზიციაზე იმყოფებოდა და მისთვის ტრადიციულად უხერხულ ბელგიელ თანატოლ მეტოქეს იანინა ვიკმაიერს 100 ადგილით ჩამორჩებოდა, თანაც აქამდე გამართულ შეხვედრებში მისთვის ერთი პარტიაც არ ჰქონდა მოგებული.

ნავსი ანამ დებიუტშივე გატეხა, როცა პირველივე სეტში იმარჯვა – 6:3. სამწუხაროდ, ამის შემდეგ თავი იჩინა ტატიშვილის აქილევსის ქუსლმა – შედარებით სუსტმა ფუნქციონალურმა და ფსიქოლოგიურმა მომზადებამ, რამაც ვიკმაიერს საშუალება მისცა თავის სასარგებლოდ დაესრულებინა ორსაათიანი მატჩი – 2:1 (6:4, 6:2).

საინტერესო ინგლისის დედაქალაქში სხვაც ბევრი რამ ხდება. საკმარისია აღინიშნოს, რომ ტურნირს უკვე გამოეთიშნენ ისეთი აღიარებული ფავორიტები, როგორებიც არიან იანკოვიჩი, სტოსური და ნა ლი.

გაგრძელება იქნება...

**მანუჩარ გიორგაძე**

რაც არ დაიმალა

# მექრთამეები ფიფას რიგებში

**საფეხბურთო ასოციაციათა საერთაშორისო ფედერაციამ (ფიფამ) აზიის საფეხბურთო ფედერაციის ყოფილი თავკაცის, ყატარელი მოჰამედ ბინ ჰამამისა და ფიფას ასევე ყოფილი ვიცე-პრეზიდენტის ჯეკ უორნერის კორუფციონერობის „ყოვლის მომცველი და სავსებით სარწმუნო მტკიცებულებები“ მოიპოვა.**



ფიფას ეთიკის კომიტეტის მიერ ჩატარებული გამოძიების მასალებით ირკვევა, რომ 2011 წლის 10-11 მაისს უორენმა ტრინიდადში კარიბის ზღვის აუზის საფეხბურთო კავშირის საგანგებო სხდომა მოიწვია, რომელზეც ბინ ჰამამი კავშირის თითოეულ წევრს ჩუმად 40 ათას დოლარს სთავაზობდა. ეთიკის კომიტეტის ხელმძღვანელის, ნამიბიელი მსაჯის პეტრუს დამასების თქმით, ამით უორნერმა „კორუფციის პროვოცირება“ მოახდინა.

ამჟამად ფიფას ვიცე-პრეზიდენტი ამ ორგანიზაციის მაღალი რანგის მოხელეთა მონაწილეობით კორუფციის საქმეში მოწმედ გადის. 20 ივნისს უორენი თანამდებობიდან გადადგა, რის შემდეგ დაწყებული გამოძიება მისი მექრთამეობის ფაქტზე შეწყდა.

ფიფას მოხსენების გამოქვეყნებასთან დაკავშირებით ბრიტანელმა პარლამენტარებმა უორნერისა და ფიფას სხვა მაღალი რანგის ჩინოსანთა მიმართ გამოძიების განახლება მოითხოვეს.

სტუმარი

# იქნებ გვენდონ



**უკვე გაუწყეთ, რომ ამას წინათ საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ ოფიციალური განცხადებით მიმართა უეფას, რომლის მიხედვითაც შესაძლოა თბილისმა სექტემბერში უეფას ფუტსალის თასის გათამაშების ძირითად ჯგუფურ ეტაპს უმასპინძლოს.**

სწორედ აღნიშნულ განზრახვას უკავშირდება უეფას ფუტსალის შეჯიბრებათა მენეჯერ ლორან მორელის ორდღიანი ვიზიტი თბილისში, რომლის ფარგლებშიც საპატიო სტუმარმა დაათვალიერა დედაქალაქის სპორტის სასახლე, სასტუმროები „რედისონი“ და „ჰოლიდეი ინნი“, აგრეთვე შეხვდა ჩვენი ქვეყნის სპორტის და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრ ლადო ვარძელაშვილს.

დასახელებულ ტურნირში თამაშის დიდი გამოცდილება აქვს საქართველოს არაერთგზის ჩემპიონ „იბერია სთარს“, რომელიც ერთადერთი გუნდია ევროპაში, უეფას ფუტსალის თასის უკლებლივ ყველა გათამაშებაში რომ აქვს მონაწილეობა მიღებული.

უეფას ფუტსალის თასის გათამაშების ოფიციალური კენჭისყრა 6 ივლისს გაიმართება. იმავე დღეს გაირკვევა ჯგუფური ეტაპის მასპინძელი სახელმწიფოს ვინაობა და მონაწილეთა რაოდენობა.

**გიორგი შოთაძე**

გართობა აკლდათ და...

# 20 გუნდი, 8 სახეობა

**დღეს იწყება და 14 ივლისს დასრულდება სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს მიერ ორგანიზებული „მინისტერიალის თასის“ გათამაშება.**



ტრადიციულ კომპლექსურ ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებს ქვეყნის სამინისტროებისა და სახელმწიფო უწყებების 20 გუნდი, რომლებიც ერთმანეთს შეეჯიბრებიან სპორტის 8 სახეობაში. ესენია მინი-ფეხბურთი, კალათბურთი, ფრენბურთი, ჩოგბურთი, ნარდი, ბოულინგი, ჭადრაკი და ბილიარდი.

**ვიტალი ჯაფარიძე**




აკრძალული ზონა

# ინტიმური პირსინგისა და „იროკეზის“ საფრთხეები

**ავსტრალიელი ფეხბურთელი არონ ეკლსტონი ინტიმურ ადგილას პირსინგის მსხვერპლი გახდა, რის გამოც სარეზერვო ლიგის ერთ-ერთი შეხვედრის დროს მინდვრიდან გააძევეს.**



თამაშის დროს ბურთი ეკლსტონს საზარდულში მოხვდა, რის შემდეგ მან გადაწყვიტა ენახა „ყველაფერი წესრიგში იყო თუ არა“. იქვე მოედანზე მოთამაშემ შორტები ჩაიწია და თავისი „ავლა-დიდების“ დათვალიერებას შეუდგა, რაც არბიტრმა შენიშნა, ეკლსტონს გასახდელში ჩასვლა და პროცედურის იქ გაგრძელება მოსთხოვა.

იმის შემდეგ კი, რაც უსიამო ინციდენტის მისთვის მშვიდობიანად დასრულებით კმაყოფილი ფეხბურთელი უკან დაბრუნდა, არბიტრმა მას წითელი ბარათი ამოუღო და მცირერიცხოვან მაყურებელთა ხარხარის თანხლებით მინდვრიდან გააძევა.

საინტერესოა, რომ ვიდრე მოედანზე გავიდოდა მოთამაშე მანამდე პირსინგის მოხსნა მოსთხოვეს, მაგრამ ამის შესრულების დასტურად მსაჯისთვის თავისი „სიმდიდრის“ დემონსტრირებაზე უარი განაცხადა, რაც მისი მოედნიდან გაძევების მიზეზი გახდა. არადა, ოფიციალური ვერსიით მოთამაშე თითქოსდა ორი გაფრთხილების გამო გააძევეს მოედნიდან, თუმცა ვიდეოჩანაწერზე ჩანს, რომ მეორე ყვითელი ბარათი მსაჯს მისთვის არ უჩვენებია.

მაისში კი ავსტრალიაში სხვა ფეხბურთის მსაჯმა არანაკლებ უცნაური გადაწყვეტილება მიიღო: მან მოთამაშე მოედნიდან იმის გამო გააძევა, რომ თავზე... „სახიფათო იროკეზი“ ჰქონდა, რომლითაც, მსაჯის აზრით, მოწინააღმდეგისთვის შეეძლო სახიფათო ტრავმის მიყენება.

**უსამართლობა**

# როგორ კეთდება „აღიარებითი ჩვენება“ ციხეში!

**ნარკოტიკების მოხმარების ბრალდებით დაკავებულ მალხაზ არქანიას დღეს უკვე ტერაქტებში მონაწილეობას აბრალებენ...**

**ციხეებში პატიმრებისადმი არაადამიანური მოპყრობის და წამების ფაქტზე უკვე არაერთი ადვოკატი თუ მსჯავრდებული ლაპარაკობს. მოვლენების პროგნოზირება რთულია, მაშინ, როცა სამართალი, სიმართლე და სამართლიანობა თვალახვეულია და უფლისგან მონიჭებული სიცოცხლეც კი არ არის დაცული.**

24 ივნისს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა აუდიტორიას პატიმარ მალხაზ არქანიაზე შემზარავი ზეწოლის ფაქტები გააცნო, რაზეც პატიმარი სახალხო დამცველის გიორგი ტუღუშის სახელზე დაწერილ ახსნა-განმარტებით წერილში ჰყვება.

2011 წლის 22 ივნისს პატიმარმა სახალხო დამცველის წარმომადგენლის თანდასწრებით დაწერა წერილი, თუმცა იმავე წარმომადგენელს 23 ივნისს დაუკავშირდა დაკავებულის ადვოკატი და შეატყობინა, რომ მსჯავრდებულს არ სურს საქმის გაგრძელება და მოითხოვს მის ახსნა-განმარტებაზე დაწყებული საქმის წარმოების შეწყვეტას. ზაზა ხატიაშვილის მტკიცებით, სახალხო დამცველის წარმომადგენლის წასვლის შემდეგ მას მიაყენეს ფიზიკური შეურაცხყოფა. შეხვდნენ ციხის უფროსი და გამომძიებელი. **„ეს უკანასკნელი დაემუქრა ჩემი დაცვის ქვეშ მყოფს და მოსთხოვა აღიარებითი წერილი დაეწერა, თითქოს ახსნა-განმარტებითი ბარათი ჩემი ზეწოლით მისცა სახალხო დამცველის აპარატს. ამაზე გამომძიებელმა იძულებით მოაწერინა ხელი მსჯავრდებულს“,** — აცხადებს ადვოკატი ლექსო არქანია.

ადვოკატთა ასოციაციის თავმჯდომარემ ზაზა ხატიაშვილმა მომხდარის გამოძიებისთვის ბ-ნ გიორგი ტუღუშს მიმართა.

— აღნიშნული ფაქტი კიდევ ერთხელ ადასტურებს ადვოკატთა კორპუსის ინსტიტუციონალურ დევნას. სწორედ გამომძიებლების მიერ ბრალდებულზე ზეწოლის შედეგად შექმნილი დოკუმენტებით იხდის სასჯელს უამრავი პატიმარი. ჩვენი ასოციაცია მოითხოვს სახალხო დამცველისგან პატიმარ მალხაზ არქანიას გადაყვანას უსაფრთხო გარემოში, — აცხადებს ხატიაშვილი.

მალხაზ არქანია ამა წლის 5 თებერვალს გალის რაიონიდან გადმოსვლის დროს ზუგდიდის შინაგან საქმეთა სამინისტროს რაიონულმა სამმართველომ დააკავა. იგი ნარკოტიკული ნივთიერების შეძენა-შენახვა-გადაზიდვის ბრალდებით გაასამართლეს და შვიდწლიანი პატიმრობა მიუსაჯეს. 19 მაისს კი თბილისის №8 საპყრობილეში გადმოიყვანეს.

პატიმარი 22 ივნისს სახალხო დამცველისთვის გაგზავნილ წერილში ჰყვება, რომ მას დაკავების დროს თავზე შავი ნაჭერი ჩამოაფარეს, სადღაც ჩაის პლანტაციაში წაიყვანეს და 30-40 წუთის განმავლობაში ფიზიკურად უსწორდებოდნენ, იარაღით ემუქრებოდნენ. იქვე გაჩხრიკეს, თუმცა მისივე თქმით, ნარკოტიკი არ ჰქონია, მაგრამ ოქმზე ხელი მაინც მოაწერინეს. განყოფილებაში ცემისას გონება დაკარგა, რა დროსაც ნარკოტიკგარეული წყალი ძალით დაალევინეს და ნარკოლოგიურში გადაიყვანეს.

მსჯავრდებულის ადვოკატის მტკიცებით, ჯერ გამომძიებელი, შემდეგ კი ციხის უფროსი, ახლაც ფიზიკურად უსწორდებიან პატიმარს და არა ნარკოტიკების გასაღების, არამედ მისგან 2008-2010 წლებში დასავლეთ საქართველოში მომხდარ ტერორისტულ აქტებზე პასუხისმგებლობის აღების მოთხოვნით.

**„19 მაისს ჩემთვის გაუგებარი მიზეზით გადმომიყვანეს თბილისის №8 საპყრობილეში, სადაც ამჟამად ვიმყოფები. მეორე დღეს ამიყვანეს დირექტორის კაბინეტში, სადაც დამხვდა მეგიზ ქარდავა (სამხარეოს უფროსის მოადგილე), მომთხოვა პასუხისმგებლობის აღება სხვადასხვა ტერორისტულ აქტზე. ჩემგან უარის მიღების შემდეგ, მიმიყვანეს ერთ-ერთ საკნის კართან და სათვალთვალოდან დამანახვეს, თუ როგორ აუპატიურებდა მამაკაცი მამაკაცს. დამემუქრნენ, თუ აღიარებით ჩვენებას არ დაწერ, შენც იგივეს გიზამთო. თავის გადასარჩენად ჩვენებაში ტელევიზიაში გასულ აფეთქებებში მონაწილეობა დავადასტურე. მეგიზ ქარდავამ წაკითხვის შემდეგ თქვა, რომ ეს ის არ იყო, რაც მას სჭირდებოდა. ცემა-ცემით ჩემი წერილი შემაჭამეს და საკანში ჩამიყვანეს...“**

ის წერილში დეტალურად ჰყვება, როგორ აყენებდნენ მას ფიზიკურ შეურაცხყოფას. ემუქრებოდნენ შეურაცხმყოფელი სურათების ინტერნეტში განთავსებით და ა. შ. რის მერეც სასურველი აღიარებითი ჩვენებაც ჩამოართვეს.

მსჯავრდებულის დის ნინო არქანიას განცხადებით, მას პერიოდულად ურეკავს გამომძიებელი და თავხედი ადვოკატისთვის ჭკუის სწავლებას ჰპირდება. ზაზა ხატიაშვილი ამ ფაქტის გამო რეაგირებას სახალხო დამცველს სთხოვს.

**გულნაზ გახარია**

**მილოცვა**

# გაზეთ „ბორჯომის“ კოლექტივს




გილოცავთ, კოლეგებო, ღირსსახსოვარ თარიღს — გაზეთის გამოსვლის 80 წლისთავს. 80 წელი ცოტა როდია, მაგრამ, დარწმუნებული ვართ, მას წინ კიდევ მრავალი ათეული და ასეული წელი ელოდება.

გვსიამოვნებს, რომ თქვენი გაზეთი არის მაღალკვალიფიციური, გაბედული, პირდაპირი, ობიექტური და ამოდ საკითხავი, რაც მკითხველთა შეუნელებელ ინტერესს იწვევს და რასაც ბევრი ვერ დაიტრაბახებს. ეს თქვენი წინამორბედის — გაზეთის მუშაკთა წინა თაობებისა და უშუალოდ თქვენი — დღევანდელი თანამშრომლების დამსახურებაა, მათი მაღალი კვალიფიკაციის, მკითხველთა ინტერესების გათვალისწინებისა და დაკმაყოფილების შედეგია.

კვლავაც წარმატების გზით გევლოთ, ძვირფასო კოლეგებო, თქვენი გაზეთის მკითხველთა გულის გასახარად, ყოველი ახალი ნომრის ლოდინისა და დიდი იმედის გასამართლებლად.

**გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქცია**

**ინფორმაცია**

## კუჭატანში მე-12 საუკუნის ეკლესია ინგრევა

**ყვარლის რაიონის სოფელ კუჭატანში მე-12 საუკუნის წმინდა გიორგის სახელობის ეკლესია ინგრევა. სოფელ კუჭატანის ტერიტორიული ორგანოს რწმუნებულის გელა გოგილაშვილის განცხადებით, ეკლესიას გამაგრებითი სამუშაოები სასწრაფოდ თუ არ ჩაუტარდა, ტაძარი მთლიანად დაინგრევა.**

— ეკლესიაზე ხეებია ამოსული, რის გამოც კედლები შუაზეა გახსნილი. ხვრელის სიგანე 10 სანტიმეტრს აღწევს. სახურავიც ძალიან დაზიანებულია და წვიმის წყალი შიგნით ჩადის. შესაძლოა, ძლიერი წვიმის დროს კედლები მთლიანად ჩამოინგრეს, — განუცხადა გელა გოგილაშვილმა კახეთის საინფორმაციო ცენტრს.

ყვარლის მუნიციპალიტეტის გამგეობის კულტურის განყოფილების სპეციალისტის ნანა სეფაშვილის თქმით, ეკლესიის რეაბილიტაციის შესახებ გადაწყვეტილებას კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო იღებს.

## სოფელ თეთრწყლებში მეწყერი ჩამოწვა



**თელავის რაიონის სოფელ თეთრწყლებში მეწყერი ჩამოწვა. მეწყერმა ელექტროენერგიის ხაზების საყრდენი ბოძები წაიღო და 10 კილოვოლტიანი ელექტროგადამცემი ხაზიც დააზიანა. სოფელში 150-ზე მეტ აბონენტს ელექტროენერგია არ მიეწოდება.**

როგორც კახეთის საინფორმაციო ცენტრს სს „კახეთის ენერგოდისტრიბუციაში“ განუცხადეს, ელექტროხაზები ტყეზე გადის და აღდგენითი სამუშაოებისთვის სპეციალური ტექნიკის მობილიზება შეუძლებელია.

## ცვლილებები რუსეთის არმიაში

**რუსეთის სამხედრო საზღვაო ფლოტისა და სამხედრო საჰაერო ძალების რეფორმირება მიმდინარე წლის ბოლომდე დასრულდება. შესაბამისი განცხადება რუსეთის შეიარაღებული ძალების გენერალური შტაბის უფროსმა ნიკოლაი მარკოვმა გააკეთა.**

გენერალური შტაბის სამხედრო აკადემიაში სიტყვით გამოსვლისას მარკოვმა აღნიშნა, რომ რუსეთის ახალ ჯარში შეიცვლება მართვის სისტემა, ასევე ცვლილებები შეეხება თანამდებობის პირების პასუხისმგებლობის სისტემასაც.

2012 წლისთვის რუსეთის ჯარის რიცხოვნობა 1.2 მილიონიდან ერთ მილიონამდე შემცირდება, 100 ათასით შემცირდება ოფიცერთა კორპუსი.

**ჯი-ეიჩ-ენი**

**ისტორიის გაკვეთილები**

# „მან ქუშთ ჩალატარ!“

**ჩვენი სამშობლოს ისტორია აღსავსეა მამულიშვილთა გმირული თავდადების მაგალითებით. მათი ნათელი სახეები საუკუნეების მანძილზე დროშად მიუძღვოდა ქართველთ და მტრებთან უთანასწორო ბრძოლებში აბჯრად ემოსათ ტანთ. ამ გმირობისა და თავდადების ისტორიათა ხელახალი შეხსენება ქართველებისათვის, ვფიქრობ, აუცილებელი არ არის, მათზე უამრავი წიგნი, ნარკვევი თუ ლეგენდად ქცეული ამბავი გვიყვება. მხოლოდ ერთ მეტად მნიშვნელოვან ფენომენზე მინდა გავამახვილო მკითხველის ყურადღება, როცა ქართული რწმენისთვის, ქართული სიცოცხლისთვის უცხოტომელნიც კი სწირავენ თავს!**

არადა, როდესაც დღევანდელობას ვადევნებ თვალს, როდესაც ეს „დღევანდელობა“ მოიცვა „უცხოფილიამ“ თუ „უცხოფობიამ“, უპრიანად მიმაჩნია, ჩვენს მომავალ თაობას შევახსენო, თუნდაც გმირ წინაპართა სახეები, რომ იამაყონ იმ საქართველოთი, რომლისთვისაც უცხოტომელნიც სწირავდნენ სიცოცხლეს! მათ ეამაყებოდათ ისეთი „მტერიც“ კი, რომელთა მთავარ ალამს მუდამ ეწერა სამშობლო და თავისუფლება!

აბო თბილელსა და შუშანიკს მართლმადიდებლურმა რწმენამ აუმხევა ჭეშმარიტება! ცოტნე და მრავალნი სხვანი, ქართულმა სულმა და მამულის სიყვარულმა მიიყვანა ეშაფოტთან, მაგრამ ვინ მიიყვანა ქართველთათვის სწორუპოვარ გმირობამდე ის უცხო ტომელი, ვისი სახელიც კი, არ ვიცით დღევანდელმა ქართველებმა?

...ჩრდილოეთ ირანში, ყაზვინთან ახლოს, ელბრუძის მთებში აღმართული იყო მიუვალი ციხე-სიმაგრე „ალაჰამ-უთ“. 1256 წელს „ალაჰამუთი მონღოლთა ხანმა, ჰულაგუმ დაანგრია, მაგრამ მანამდე, 7 წლის მანძილზე გარს ერტყნენ მონღოლნი. შვიდი წელიწადი შემოწყობოდა ალყად მონღოლთა ოთხი ნოინი და ვერ აეღოთ! შვიდი წელიწადი გმირულად იგერიებდა უსასტიკეს მომხვდურს „ალაჰამუთი! „დიდ ჭირთა შიგან“ სიცოცხლეს არ ზოგავდნენ ქართველები მონღოლური ურდოს სადიდებლად და ამით იცავდნენ თავიანთ მამულს! — ძალა აღმართსა ხნავდა! ხარაჯა ედოთ ქართველებს ასეთი, — ჯარით უნდა ხლებოდნენ დამპყრობთ!

„...მეშვიდე წლის ზაფხულის“, — ამბობს „ქართლის ცხოვრება“ — „ამ ოთხთა ნოინთა ყოფნასა შინა „ალაჰამუთს“ მოიყიდეს კაცი გოლიათი, რათა მოკლას ერთი ნოინთაგანი. ეს შევიდა იდუმალ ჩალატარ ნოინის კარავსა შინა და განაწონა გულსა ლახვარი და მოკლა!...“

ჩალატარის კარვის გვერდით კარავში ქართველი მთავრები იდგნენ, — ეგარსლან ბაკურციხელი, ვარამ გაგელი, გრიგოლ სურამელი, თორელი, ცოტნე დადიანი! მათზე აიღეს ეჭვი და მათდა „ამოხოცვად წამოვიდნენ მონღოლნი!“ ამ ჟამს ქართველ მთავართა წინაშე წარსდგა გრიგოლ სურამელი და მიმართა მათ:

„ არ არს ძმანო, ჟამი ბრძოლისა, რამე თუ მცირენი ვართ, არამედ, ვგონებ, ჩვენ მთავარნი მოგვწყვიდონ და არა ყოველნი ერნი! გარნა ვედრება ღვთისა და ყოვლადწმინდისა ღვთისმშობლისა ჯერ არს!“ და წავიდნენ მთავარნი აღსასრულისკენ!“

მაგრამ ქართველ მთავართა ამ თავდადების შორიდან მაცქერალი „კაცი იგი გოლიათი“ აღიმართა სამალავიდან და შესძახა მონღოლთ: — „მან ქუშთ ჩალატარ!“ — „მე მოვკალი ჩალატარი!“ „...და ესრეთ იხსნა ღმერთმან და ღვთისმშობელმან ერი თავისი!“ თავდადებისა და გონიერებისთვის!

გრიგოლ სურამელისა და „მთავარმა მათთა“ სახელები ოქროს ასოებით წერია ქართველი ერის ისტორიაში, მაგრამ არავინ იცის იმ „ალაჰამუთელი“ „კაცი გოლიათის“ სახელი და გვარი, რომელმაც სიცოცხლე შესწირა ქართველთა თავდადებასა და ვაჟკაცობას!

ვერ ვიტყვი, თანამედროვე ქართველთა მეტ წილს დაავიწყდა თავისი გმირები-მეთქი, მაგრამ, მოდით, ძმებო და დებო, სიმბოლურად მაინც პატივი მივაგოთ იმ, გვარ-სახელით უცნობ უცხოტომელ გმირებსაც, რომელთაც თავი შესწირეს ქართულ ფენომენს! თორემ, ვატყობ, არამად ნაშოვნი ქრთამითა და ოქრო-ვერცხლით აღზევდნენ ზოგიერთები და დავიწყების ფერფლით იფარება მტერთაგანაც ნაქები გმირული სულისკვეთება!

**ზაურ ფიფია**

**ფაქტი**

## მილიონერების რაოდენობით აზიამ ევროპას გაუსწრო

**ამის შესახებ საინვესტიციო ბანკ „მერილ ლინჩისა“ და საკონსალტინგო კომპანია „კაპგემინის“ ყოველწლიურ რეიტინგშია ნათქვამი.**

კვლევის მიხედვით, აზია-წყნარი ოკეანის რეგიონში მილიონერთა რაოდენობა, 2010 წელთან შედარებით, 10 პროცენტით გაიზარდა და 3,3 მლნ. ადამიანი შეადგინა.

შედარებისთვის, აშშ-ში 3,4 მლნ მილიონერი ცხოვრობს, სტატისტიკის მიხედვით კი ევროპაში 3,1 მლნ. მილიონერი ცხოვრობს.

## სულიერება

# ძირით — ქართველი



**26 ივნისი წმინდა ანთიმოზ ივერიელის ხსენების დღეა. ის ერთ-ერთი უგანათლებულესი ადამიანი იყო, იცოდა მრავალი უცხო ენა, ფლობდა ხელოვნების ყველა დარგს: მხატვრობას, მოჩუქურთმებას, გრავირებას...**

ქართველი ადამიანი რუმინულ სალიტერატურო ენის რეფორმატორად ითვლება; იგი ბრწყინვალე მწერალი, შესანიშნავი კალიგრაფი და აღიარებული ორატორი იყო.

მრავალმხრივი ნიჭით დაჯილდოებული ანთიმოზი არჩილ მეფეს ახლდა რუსეთში და დიდად ეხმარებოდა მას ქართული სტამბის შექმნაში.

საქართველოში დაბრუნებული ანთიმოზ ივერიელი ჩრდილოკავკასიელებმა შეიპყრეს და მონად გაყიდეს. ამის შემდეგ ის ვლახეთში მოხვდა. აქ ყოველთვის ხაზს უსვამდა თავის ქართულ წარმომავლობას... მან მრავალი ეკლესია ააშენა მართლმადიდებლურ ვლახეთში. 1992 წლიდან ანთიმოზ ივერიელი წმინდანადაა შერაცხილი.

**გიული ლიპარტია**

რეკლამა
„საქართველოს რესპუბლიკაში"
99-62-77; 899 32-85-76.

## დაიჯესტი

### „თინათინი" ხმაურიანი რესტორანია



**მოსკოვში, პლიუშჩიხას ქუჩის № 58-ში, ცნობილმა ტელეწამყვანმა, ჩვენმა თანამემამულემ თინა კანდელაკმა ქართული სამზარეულოს რესტორანი „თინათინი" გახსნა.**

უცნაური ამაში, ცხადია, არაფერია, მაგრამ საქმე ის არის, რომ ცოტა ხნის წინათ ამ, ოდესღაც აბრეშუმის ფაბრიკის „კრასნაია როზას" საერთო საცხოვრებლის, შემდეგ კი ასევე რესტორნის „თავადი ბაგრატიონის" მეზობლად მცხოვრებნი, თინა კანდელაკის რესტორანს ღამის საათებში სიმყუდროვის დარღვევაში ადანაშაულებენ. ამის თაობაზე მათ რაიონულ ხელისუფალთ მიმართეს, თავად თინა კანდელაკმა კი განაცხადა, რომ საქმეს აუცილებლად მოაგვარებს.

### „მისტერ და მისის სმიტები" გეზს თეთრი სახლისკენ იღებენ

**მსოფლიო კინემატოგრაფის ერთ-ერთი ყველაზე ლამაზი წყვილი, ჰოლივუდის ვარსკვლავები ბრედ პიტი და ანჯელინა ჯოლი, როგორც ირკვევა, ძალიან დიდი ამბიციის მქონე ხალხია. საქმე ის არის, რომ მეუღლეები... თეთრი სახლის „დასაპყრობად" ემზადებიან.**

ჰოლივუდით თავგაბეზრებული ბრედ პიტი, თურმე, მსოფლიო პრობლემების გადაჭრაში აქტიური მონაწილეობის მიღებას აპირებს და, როგორც აცხადებს, „ქვეყნის პირველი ქალბატონის სტატუსი ანჯელინას მოეწონება". ახლო მომავალში მისტერ პიტი სენატში კენჭისყრას აპირებს და, თუკი წარმატებას მიაღწევს, 2016 წელს საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას გეგმავს. გავრცელებული ინფორმაციით, წინასაარჩევნო კამპანიის დროს მისტერ პიტი ყურადღებას ქვეყანაში მარიხუანის ლეგალიზაციაზე გაამახვილებს, რაც, მისი აზრით, ხაზინას დიდად გაამდიდრებს.




ქმარს არც ცოლი ჩამორჩა: ანჯელინამ თავის მხრივ განაცხადა, რომ ჰოლივუდი მოსწყინდა და ძალების მოსინჯვა ახალ ასპარეზზე სურს.

### მთავარია ზომიერება

**ამბობენ, რომ ყოველი თამაშის წინ კანადელი ჰოკეისტი ჰარდინერი ჰოკიჯოხს... უნიტაზში აწობს. ერთ რუსეთელ ძიუდოისტს მნიშვნელოვანი შეჯიბრის წინა ღამეს... უტრუსებოდ სძინავს, ხოლო მსახიობ სკარლეტ იუჰანსონი კისერზე... საკუთარ სიბრძნის კბილს ატარებს.**

იმისთვის, რომ „იღბალი არ დააფრთხოს", ზოგი კვირაობით პირს არ იპარსავს, ზოგი ტრუსებსა და წინდებს არ რეცხავს... თითქოს ყველაფერი ეს სისულელეა, მაგრამ გერმანელმა მეცნიერებმა ექსპერიმენტი ჩაატარეს, რის შემდეგ სერიოზულად განაცხადეს: თუნდაც ყველაზე აბსურდული ცრურწმენები შეიძლება მეტად სასარგებლო აღმოჩნდეს. ჩვეულებრივ ისინი გარკვეული ამოცანის გადასაჭრელად მობილიზებას უწყობენ ხელს, აუმჯობესებენ თავის ტვინის მუშაობას, მეხსიერებას, ლოგიკურ აზროვნებასა და კუნთების მოქნილობასაც კი. აღსანიშნავია, რომ ამ დასკვნას სხვა სპეციალისტებიც დაეთანხმნენ, ოღონდ აღნიშნეს, რომ ძალიან მნიშვნელოვანია აგრეთვე ზომიერების დაცვა.



ბრიტანელ მეცნიერთა გამოკვლევით კი დადგინდა, რომ ყველაზე მეტი ცრუმორწმუნე ადამიანი ხანდაზმულთა შორისაა. 80 წელს გადაცილებულ ადამიანთა 39 პროცენტი ნიშნებს დიდი გულისყურით ეკიდება, ხოლო 90 წელს გადაცილებულთა შორის მათი რაოდენობა 97 პროცენტს აღწევს.

### როგორ ავირჩიოთ სუნამო?




**სუნამოს არჩევისას აზრი არა აქვს ფლაკონიდან მის პირდაპირ დაყნოსვას — ცხვირში მაშინვე გეცემათ სპირტის ორთქლი, ასე რომ მის სურნელებას ხეირიანად ვერც იგრძნობთ.**

საუკეთესო ხერხია ერთი წვეთის დაწვეთება მაჯის შიდა მხარეს და თავისით აორთქლების დაცდა. დაწვეთების შემდეგ სუნამო არ ჩაიზილოთ კანში, რაც მის ფაფუკ სუბსტანციას დაარღვევს და სურნელს შეუცვლის. კანზე დასხმული სუნამოთი გაიგებთ, თუ როგორი სურნელი გექნებათ პირადად თქვენ. მაგრამ არომატი ნელა იხსნება, ამიტომ უმჯობესია რამდენიმე საათი შეიცადოთ და, თუკი დარწმუნდებით, რომ ეს „თქვენი სუნამოა", იგი მერე შეიძინეთ.

ნურასოდეს გასინჯავთ ერთ ჯერზე სამ სუნამოზე მეტს, რადგან ამდენს ცხვირი „ვერ გაუძლებს და აზრს დაკარგავს". კარგ ყნოსვას ასევე ხელს უშლის დაღლილობა, ამიტომ პარფიუმერიის მაღაზიას მხნე და კარგ გუნება-განწყობილებაზე მიაკითხოთ, უკეთესი იქნება!

### ლარის ოფიციალური გაცვლითი კურსი



| | |
|---|---|
| 1 აშშ | – 1.6578 ლარი |
| 1 ევრო | – 2.4240 ლარი |
| 1 გირ. სტ. | – 2.7150 ლარი |
| 100 რუბლი | – 6.9891 ლარი |
| 1000 სომ. დრამი | – 5.5068 ლარი |
| 1 აზ. მან. | – 2.1303 ლარი |
| 10 უკრ. გრივნა | – 2.1107 ლარი |
| 1 თურქ. ლირა | – 1.0635 ლარი |
| 10 ჩინ. იუანი | – 2.5885 ლარი |



### ამინდი დღეს

| | |
|---|---|
| თბილისი. | +17 – +29 |
| ქუთაისი. | +17 – +28 |
| ბათუმი. | +19 – +26 |
| ზუგდიდი. | +17 – +29 |
| თელავი. | +17 – +28 |

## ანეკდოტები

— არჩევანის წინაშე რომ დადგე, ან ცოლი, ან სუპერმოდელიო, რომელ სუპერმოდელს აირჩევდი?

* * *

მუზეუმში გიდი ტურისტებს ესაუბრება:

— ეს ფარაონის მუმიაა.

— უკაცრავად, მუმია ფარაონს რად ერგებოდა? — ეკითხება ქუკუ.

* * *



განცხადება დამკრძალავ ბიუროში: „თუ თქვენ ჩვენთან დაასაფლავებთ თქვენს 9 ნათესავს, მეათეს დასაფლავება უფასო იქნება".

* * *

ერთი მეგრელი ეუბნება მეორეს:

— გადავწყვიტე, 300 წელიწადი ვიცოცხლო და მერე მოვკვდე.

— მერე როგორაა საქმე?

— ჯერჯერობით ყველაფერი კარგად მიდის, მაგალითად!

* * *

სატელევიზიო განცხადებიდან: „გუშინ უნივერსიტეტში სექსბომბა აღმოაჩინეს, რომელიც გარეუბანში გაიყვანეს და გააუვნებელყვეს იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტებმა".

## კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.
ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გ. ახვლედიანის (ყოფილი პეროვსკაიას) ქ. 19
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის" გამომცემელი" (დავით აღმაშენებლის 150. ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე"
იბეჭდება „კოლორში" (რკინიგზის ჩიხი, № 20)

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
299-62-77;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოწულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე 514 33-33-24